

ვაკეტანდ ჭანებისა

მორივი
ჩემი გოლიძე

წიგნი გამოიცა ქ. გორის მუნიციპალიტეტის მაუთრიფარი პარლამენტარის იოსებ მაკრახიძის ბიუროს ინიციატივითა და ჩემპიონების, პრიზიორების, მწვრთნელებისა და ფელერაციების ერთობლივი ძალისხმევით.

* *

წიგნზე მუშაობის პროცესში აღმოჩენილი დახმარებისთვის ავტორი ულრმეს მაღლობას მოახსენებს: გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ფიზ. კულტურისა და სპორტის დამსახურებულ მოღვაწეს ბაგონ ალექსანდრე იაშვილს, ცნობილ სპორტულ პეტლიცისტს ვასილ ბალახაძეს, ა. შოშიაშვილს, გ. მირუაშვილს, ი. ბუხრიკიძეს, ჰ. მაყაშვილს, გ. თენაძეს, ნ. სხიერელს, შ. გაგუას, ვ. ციცქიშვილს, ბ. ყულუმბეგაშვილს, ნ. ანდლულაძეს, თ. კაბულაშვილს, ე. პატარიძეს, თ. ორჯონიკიძეს, ნ. ექვთიმიშვილს.

რედაქტორი: დარეჯან ჭავაძე

კორექტორი: დოდო გოცირიძე

კომპ. უზრუნველყოფა: შალვა მურადაშვილი

გარეკანზე – გორის ციხის დასავლეთის მხარე „ლომჭაბუკით“
და ვლადიმერ ხინჩევაშვილი

შესავალი

„სპორტი გულისხმობს თავისუფალი ან ორგანიზებული სახით ფიზიკური საქმიანობის ყველა ფორმას, რომლის მიზანია ფიზიკური და გონიბრივი შესაძლებლობების გაუმჯობესება, სოციალური ურთიერთობების განვითარება, ან ყველა დონის შეჯიბრებებზე ურთიერთობების განვითარება, ან ყველა დონის შეჯიბრებებზე შედეგების მიღწევა“.

ევროპის სპორტის ქარტია

საქართველო უძველესი სპორტული ქვეყანაა, მას ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უჭირავს მსოფლიო სპორტულ მოძრაობაში. ეს კანონით მოვლენაა, რადგანაც სპორტულ ტრადიციებს საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. მამინაც კი, როცა საქართველო მუდმივად იმყოფებოდა მფრების თავდასხმების პირობებში, ქართველი ხალხი დიდ ყურადღებას უთმობდა ქალიშვილებისა და ვაჟების ფიზიკურ წვრთნას; ასეთ სახეობებს კი, როგორებიცაა ჭიდაობა, ლელობურთი და სხვა ეროვნული თამაშები – თავისი თვიდმყოფადი კულტურა გააჩნდათ ოდითგანვე.

საქართველოში სპორტის განვითარებამ თავის უმაღლეს დონეს მიაღწია XX საუკუნის 50-იანი წლებიდან ვიღრე დღემდე.

საქართველოს წარგმავნილებს არაერთხელ აღუმართავთ ქართული ეროვნული დროშა და აუკლერებიათ საქართველოს ჰიმნი სპორტის სხვადასხვა სახეობაში თლიმპიურ თამაშებზე, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე და საერთაშორისო დონის ტურნირებზე.

**ალექსანდრე იაშვილი, პროფესორი,
სპორტის დამსახურებული მუმაკი**

* * *

გასული საუკუნის ოციანი წლების მეორე ნახევრიდან სახელმწიფო მნიშვნელობის საქმედ იქცა ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდა და ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მასიური მოძრაობა, რომელიც შემდგომ წლებში დაიხვეწა და სპეციალიზირებულ მიმართულებებად ჩამოყალიბდა შესაბამის პროგრამებში.

საქართველოში შეიქმნა ყველა პირობა, რათა აღორძინებულიყო სპორტის მივიწყებული ეროვნული ორთაბრძოლები თუ თამაშები და მათ საფუძველზე განვითარებულიყო, პირველ რიგში, სპორტის კლასიკური სახეობები.

საქართველო აქტიურად იყო ჩართული ყოფილი საბჭოთა კავშირის ე.წ. საკავშირო სპარტაკიადებში, სადაც ქართველმა სპორტსმენებმა არაერთხელ ისახელეს თავი და დაიმსახურეს უმაღლესი სინჯის მედლები თუ დიპლომ-სიგელები.

მეორე მსოფლიო ომმა შეაფერხა სპორტის სახეობების განვითარება და სრულყოფა, თუმცა უკვე 1946-1947 წლებიდან მიღებულ იქნა სპორტის აღორძინების ახალი პროგრამები და საქართველოც აქტიურად ჩაება დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებებში. დაიწყო სპორტული მოედნებისა და დარბაზების მასიური მშენებლობა და ახალი ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა.

წლიდან-წლამდე იმრდებოდა სპორტული მუშაობის დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რასაც სულ მაღე მოჰყვა პირველი მნიშვნელოვანი წარმატებები. საქართველოში ნახტომისებურად გაიზარდა სპორტული თანრიგის მქონე სპორტსმენთა რიცხვი და ე.წ. საკავშირო ნაკრებებში ქართველ სპორტსმენთა რაოდენობა.

სპორტის, როგორც ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან

სფეროს, განვითარების ახალი ბიძგი მისცა ე.წ. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების პრიზიორებისათვის ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების შემოღებამ.

სულ მალე (მეორე მსოფლიო ომის შემდეგ) ყოფილი საბჭოთა კავშირის სპორტულმა ორგანიზაციებმა თანდათან დაიწყეს საერთაშორისო გაერთიანებებში და ფედერაციებში შესვლა სპორტის სახეობების მიხედვით. პირველი ნაბიჯები გადადგეს ფეხბურთელებმა და ძალოსნებმა. შემდეგ კი მათ კვალს გაჰყვნენ მძლეოსნები, კალათბურთელები, მოჭიდავეები, მოცურავეები, მოჭადრაკეები და ა.შ.

ბუნებრივია, რომ ამ მასშტაბურ სპორტულ მოძრაობაში თავისი ღირსეული ადგილი ეკავა სპორტულ საქართველოს და, რაღა თქმა უნდა, ქ. გორს, რომელიც წარმატებული გახლდათ ჯერ ისტორიულად ტრადიციულ სპორტულ პაექრობებში; შემდგომ კი ახლად დამკვიდრებულ და განვითარებად სახეობებში; მალე კი საქართველო ჩაება ოლიმპიურ მოძრაობაში (1952 წ.) და ქვეყანას მოევლინნენ პირველი ოლიმპიური ჩემპიონები (დ. ციმაკურიძე, რ. ჩიმიშვიანი და მედეა ჯულელი). ამ წლებიდან იწყება ასევე გორელ სპორტსმენთა ტრიუმფალური სვლა მსოფლიო დონის შეჯიბრებებისაკენ და იქ მოსაპოვებელი მედლებისაკენ.

წინამდებარე წიგნი ეძღვნება გორელ სპორტსმენებს, რომლებმაც ბოლო 60 წლის განმავლობაში სხვადასხვა სპორტულ არენაზე არაერთხელ ააფრიალეს საქართველოს ეროვნული დროშა და დაატკბეს გულშემატკივართა ყურთასმენა საქართველოს ჰიმნით.

ქ. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ბაგონ ალექსანდრე იაშვილის ცნობით, გორელმა სპორტსმენებმა მოიპოვეს (ევროპის, მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების მასშტაბით) 35 ოქროს, 28 ვერცხლის და 32 ბრინჯაოს მედალი (აღარაფერს ვამბობ საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ჩემპიონობის სამივე სინჯის უამრავ მედალზე).

არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ მაღალი სინჯის მედლების ასეთი რაოდენობა შეშურდებოდა გორის რაიონისა და ქ. გორის მოსახლეობის თანაბარი რაოდენობების მქონე ნებისმიერ რეგიონს.

ბარაქალა თქვენს შემართებას, გორელო ჩემპიონებო!

დაბოლოს აღვნიშნავ, რომ მოუთმენლად დაველოდებით მკითხველების შენიშვნებს და რეკომენდაციებს, რათა მოსალოდნელი შეცდომები გამოსწორებულ იქნას წიგნის მეორე ნაწილში.

ავტორი

କୁଳାଳ



**ამონარიდები გიორგი ლეონიძის წიგნიდან
„სტალინი. ბავშვობა და ყრმობა“**

ყველივრის კვირა დამდგარა,
ხმაურობს დუქან-ბაზარი,
ხალხია მოზღვავებული,
სადაც დგას გორის ტაძარი...

გაჭედილია ქუჩები,
აივნები და ბანები,
დახაფრულია ხეებიც –
ჩიტების დასაბძანები.

ძმური ჩხუბია, – კრივია,
გულდაკვერილი ვაჟების,
ხმალმომშეულებს გამოაქვთ
გასაშინჯავად მაჯები.

.....

შენი ჭირიმე „ფთიანო“,
დაჰკარ, არ დააგვიანო!
კაცს ჩინჩხვარივით დალეწავ,
მშვიდობა-გუნებიანო!

მოკრივე ნიკა ხოდელს
ჭირიმე შენი „ხოდელო“,
ეგრე დაუხვდი წინასა,
შენი ამბავი რომ ვიცი,
მუშტით გაამტვრევ რკინასა!

.....

ეგნატაანთ იაკობა,
მოდის, როგორც გემი ბლვაში.
მის მუშგს უნდა განა მკობა?
ვენაცვალე ბიჭს ულვაშში!
მას რა ძალა დააკავებს? –
ითხლაშუნებს მძიმე მკლავებს.

და კიდევ: „...შემოკრული აქვთ მაჯები
ტყავით და ხელსახლცებით.
– ან გავიმარჯვებთ, ბიჭებო,
ან კრივში დავიხოცებით!“

ნებისმიერ ქვეყანაში, ნებისმიერი სიახლე (კულტურულ-საგანმანათლებლო, მეცნიერული, სპორტული, ეკონომიკური, სამედიცინო თუ სხვა), უიშვიათესი გამონაკლისის გარდა, იბადება, ფეხს იკიდებს და ვითარდება ამა თუ იმ ქვეყნის მთავარ რეგიონში, რაიონში თუ ქალაქში (ანუ დედაქალაქში).

ასე გახლდათ საქართველოშიც, როდესაც პირველი მოკრძალებული ნაბიჯები, თანამედროვე კრიზის სფეროში, გადაიდგა სწორედ ქალაქ თბილისში და შემდგომ უკვე, სხვადასხვა ხელშემწყობი ფაქტორების წყალობით, გადაინაცვლა და თანდათან (მეტ-ნაკლები ინტენსივობით) განვითარდა ე.წ. პერიფერიებში და, რაღა თქმა უნდა, ქალაქ გორშიც.

ქართულ სპორტულ ასპარეზობებს შორის ოდითგანვე დიდი პოპულარობით გამოირჩეოდა კრიზი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იხვეწებოდა, ვითარდებოდა, სულ უფროდაუფრო მეტ გეოგრაფიულ სივრცეებს იპყრობდა, ვიდრე თანამედროვე ფორმითა და შინაარსით ჩვენამდე მოაღწევდა. კრიზი ხალხში დაიბადა და ხალხმავე განავითარა.

კრიზი იყო და არის ადამიანის ფიზიკური და სულიერი წრთობის ერთ-ერთი საუკეთესო და ეფექტური საშუალება.

ისტორიული წყაროებისა და თანამედროვე მიმომხილველთა თუ მწერალ-უკანალისტთა გამოკვლევებით იკვეთება ის გარემოება, რომ თბილისის შემდეგ კრიზმა უპირატესი განვითარება მოიპოვა გორსა და თელავში (სხვა ქალაქებთან და რაიონულ ცენტრებთან შედარებით).

მოკლე მიმოხილვის სახით მოვიყვანთ ამონარიდებს სხვადასხვა წყაროებიდან (ავტორები ვ. სიდამონიძე, ვ. აბრამიშვილი, ვ. შიუკაშვილი, თ. გაჩეჩილაძე, ი. აივაბიშვილი, გ. ალავერდაშვილი), რომლებიც ნაწილობრივ მაინც შექმნიან წარმოდგენას საქართველოში კრიზის განვითარების შესახებ. აქვე ვიზუალური, რომ საწყის ეტაპზე ისტორიამ უპირატესად შემოგვინახა კოლექტიური კრიზის ამსახველი ფაქტები, ანუ როდესაც ადამიანთა ცალკეული ჯგუფები ან დასახლებული პუნქტების (კერძოდ ქალაქების) სხვადასხვა უბნები უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს და როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს – იყენებდნენ ხის ხმლებს და შურდულებსაც კი. რა თქმა უნდა, იყო პიროვნული კრიზიც (ორი პიროვნების შერკინება).

„...კრიზი თავისებური თეატრალური სანახაობა იყო. მის სანახავად თითქმის მთელი ქალაქის მცხოვრებნი, საზეიმოდ გამოწყობილი ახალგაზრდა თუ მოხუ-

ცი, ბავშვებიც კი გამოიშლებოდნენ ხოლმე მოსახერხებელ მიღამოებში, რათა უფრო კარგად დაენახათ მოკრივეთა შეჯიბრება.

კრივში შეჯიბრებებს ხშირად ესწრებოდნენ ხოლმე ცნობილი პოლიტიკური თუ საბოგადო მოღვაწეები. ამ მხრივ ისტორიაში შემონახულია ცნობები ვრ. ორბელიანის შესახებ, რომელიც მეგობარ და თანამესუფრე, საუკეთესო ფალავან ლოპიანასთან ერთად ხშირი სტუმარი ყოფილა ამგვარი ასპარეზობების.

1802-1806 წლებში საქართველოში ეწყობოდა დიდი ასპარეზობები კრივში.

უმთავრესი სალდასტის კრივები (კრივი ხის ხმლითა და შურდულით) იმართებოდა ყველიერში, თავდებოდა დიდმარხვის პირველ დღეს და ჰქონდა თავისი ისტორიული სახელწოდება ყევნობა, ე.ი. ყაენთა აჯანყება.

ყევნობა იმართებოდა ყველიერის ორშაბათს დილაადრიანად ქალაქის სხვადასხვა ნაწილში და მთავრდებოდა შაბათს.

დაპირისპირებულ მხარეებს წინ მიუძღვიდათ ყაენი თავისი ამალით. ამალის წინ მიჰქონდათ დროშები ყველა ქუჩიდან თითო. უკრავდნენ ბურნაბე, დაფდაფბე, ბობლანებბე, საყვირბე. მღეროდნენ სალაშქრო სიმღერებს. მოშაირენი მოუთხრობდნენ ხალხს წარსულის საგმირო საქმეებბე, გამორჩეულ პირთა ღვაწლსა და სიმამაცებებებს.

როდესაც გამოივლიდნენ ქალაქების მებრძოლები (მოჩხუბრები) თავ-თავიანთ მოხერხებულ ადგილებს იჭერდნენ. ორივე „მტრული“ მხარე დაბანაკდებოდა ერთიმეორის პირისპირ და თადარიგს იჭერდნენ – არჩევდნენ თავდასხმის ადგილებს და თავშესაფარს. ცდილობდნენ ჯამუშების შემწეობით გაეგოთ მოწინააღმდეგეთა განლაგება და ძალების სახეობა და რაოდენობა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ბემონახსენებ სამ ქალაქში (და სხვაგანაც) შეჯიბრი კრივში მიმდინარეობდა თითქმის ერთი სცენარით და მსგავსი ტექნიკური თუ სხვა საორგანიზაციო სამუალებებით, ამიტომ შედარებით ვრცლად მოვიყვანთ გორში კრივის მწვრთნელების ისტორიას, სახელოვან მოკრივეთა და მწვრთნელების შესახებ მონაცემებს.

2006 წელს გორელმა პოეტმა, უკრნალისტმა და საბოგადო მოღვაწემ ვ. შიუკაშვილმა გამოსცა წიგნი სახელწოდებით „შიდა ქართლელთა კრივი“. ავტორმა სხვადასხვა ისტორიულ წყაროებბე დაყრდნობით და კრივის სფეროში მოღვაწე ადამიანების დახმარებით, შესძლო მკითხველისათვის ეჩუქებინა საინტერესო წიგნი, რომელშიც ბევრი მნიშვნელოვანი მასალაა საიმისოდ, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ სპორტის ერთ-ერთი ლამაზი და რაინდული ხასიათის სახეობის დაფუძნება-განვითარების პერიპეტიები ძველ გორში.

მკითხველს უცვლელად ვთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს აღნიშნული წიგნიდან.

ძველ გორში კრივი საოცარი პოპულარობით სარგებლობდა. ერთ-ერთ ქართულ საისტორიო წყაროში ვკითხულობთ: „კიდევ ზემოთ უბანმა გაიმარჯვა ისე, რომ საზღვარს გადავიდნენ და ხედაანთ კარებამდეს გალალეს ქვემოთ უბნელები.

ქვემოთ უბნელების წინამდლოლი და მშველელი, როგორც იმ მხარის მემამულე, თ. ხ. დ-ე იყო. ამ ბრძოლის ველზე ორი დღე წინ დახტოდა კაი ბელადივით, ფულითაც ასაჩუქრებდა მოკრივეებს, ბოლოს საკმაოდ შორიდან უთანაგრძნობდა ქვემო უბნელების მწუხარებას“.

ასევე დიდად საინტერესოა 1886 წლის 25 თებერვლის გამოცემი „ივერიაში“ დაბეჭდილი წერილი გორში მოწყობილ მოკრივეთა ასპარეზობის შესახებ: „ყველიერის პირველი კვირიდან დაწყებული, მუდამ შეადლის შემდეგ სობორის ქუჩაზე და შეა ბაზარში გავლა ძლიერ ძნელი იყო მოკრივე ხალხის სიმრავლისაგან. გორელები გაიყვნენ ორ ნაწილად, ქვემო უბანი ცალკე და ზემო უბანი ცალკე გადავიდა. ზემო უბანი დაბანაკდა სობორის ქუჩაზე და ქვემო უბანი შეა ბაზარში...“

მოკრივე ხალხის გარდა მაყურებელი დიდძალი ხალხი იყო. მთელი ქუჩა თავიდან ბოლომდისინ, ბინები, სახლის ფანჯრები, მოაჯირები, სადაც კი რომ კედელზე ფეხის მოსაკიდი იყო და სხვა, ისე იყო ფერად-ფერადი ხალხით გამსილი, რომ ნემსი არ ჩავარდებიდა. არასდროს არ ყოფილა ამდენი ხალხი. ზემო უბნელებმა გამართეს დაფა-ბურნაზე თამაშობა სობორის ქუჩაზე და ელოდებოდნენ როგორმე ჩამოეტყუილებინათ ქვემოუბნელები.

ქვემო უბანმა ფეხი არ მოიცვალა შეა ბაზრიდან. ბოლოს, ზემოუბნელები თავიანთი დაფა-ბურნით მიუხსნენ ქვემოუბნელებს შეა ბაზარში და გაიმართა ათი წამის განმავლობაში საშინელი გაცხარებული მუშტი-კრივი. და როცა ქვემოუბნელებმა გაირეკეს ზემო უბნელები, ამ დროს მაყურებელი ხალხის სიმძიმისაგან უცებ დაეშვა შეა ბაზარში ჩარდახი და პანტა-პუნტით ყირამალა წამოვიდა ბევიდან ხალხი. ამათში იყვნენ რამდენიმე მანდილოსნებიც და დაეცნენ მოკრივე ჯგუფ ხალხს. ამათი იღბალი, რომ ძირს არავინ დაეცა, თორემ სულს ვეღარ ჩამოაწევდნენ.

მოკრივე ხალხზე არაფრად იმოქმედა ამ ამბავმა, გაცხარებულნი ერთ-მანეთს სცემდნენ და ფეხს არ არიდებდნენ ჩამოცვენილ ხახლს. რამდენიმე წამის შემდეგ ორი კაცი გამოიგანეს ცოცხალ-მკვდარი. ერთი სრულიად განობემიხდილი იყო და ხმას ვეღარ იღებდა. მეორე საშინლად გულსაკლავად კვნესოდა. საეჭვი არის მათი მორჩენა“.

მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს, ქალაქ გორს არაერთი განთქმული მოკრივე ამშვენებდა. მათ შორის განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ: არაჩვეუ-

ლებრივი ფიზიკური ძალის მქონე, ვაჟკაცურად მოჩხუბარი სოსო ხოდელი. მუდამ საბრძოლველად შემართული „გლადიკა“ – მედროვე, ლომისთათება სირაჯი – ვასო ტეტუნაშვილი, რომელიც შევარდენივით შეიჭრებოდა ხოლმე ბრძოლაში და ამიტომ უწოდეს „ფთიანი“. ქვემოუბნელების სახელოვანი მოკრივე გახლდათ კალატობი გიგა შევარდნამე, რომელიც მეტოქეს ქარიშხალივით დაატყვედებოდა ხოლმე და ამის გამო ხალხმა „ხორველა“ შეარქვა. მაგარ მოჩხუბრად ითვლებოდა ხიდისთაველი კაკა აბაბაშვილი, მეტსახელად – „ნოღა“. მეტად სწრაფი და მოქნილი მოკრივე იყო სირაჯი ვანო ბაზუნაშვილი. მას მეტსახელად „გოჭი-ბიჭის“ ეძახდნენ.

კარგ მოკრივედ იცნობდნენ დურგალ სიმონ მურადოვს – „საცერას“. მეტად წარმოსადეგი ვაჟკაცი იყო დიდი ძალ-ლონით აღჭურვილი მიკიფანი ვასო, მეტსახელად „მეშოკა“.

გორელების დიდი სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობდა 140 კოლოგრამიანი გოლიათი, მოკრივე და მოჭიდავე სირაჯი იაკობ ეგნატაშვილი. ის ყველასთან არ კადრულობდა შებრძოლებას. მხოლოდ სახელგანთქმულ მეტოქეებს ერკინებოდა...

ასეთივე სწორუპოვარი ათლეტი იყო მისი შვილი, მოკრივე და მოჭიდავე საშა (ალექსანდრე) ეგნატაშვილი, რომელმაც რუსეთის ლეგენდარულ მოჭიდავეებთან: მსოფლიო ჩემპიონ ივან ბაიკინთან და ნიკოლოზ ვახტუროვთან 40 წელიანი ორთაბრძოლა ფრედ დაამთავრა!.. საშა ეგნატაშვილი იყო სტალინთან ძალიან დაახლოებული პიროვნება (შესახედავად ძალიან ჰყავდა სტალინს...) მუშაობდა მოსკოვში, კრემლში, მინიჭებული ჰქონდა გენერალ-ლეიტენანტის წოდება.

მეცხრამეტე საუკუნის გამოჩენილ გორელ მოკრივეთა სახელებმა არაერთხელ გაიელვეს დიდი ქართველი პოეტის, გიორგი ლეონიძის ეპოქეაში „სტალინი, ბავშვობა და ყრმობა“.

გორული კრივის სურათები არაჩვეულებრივი ოსტატობით აქვს ასახული ცნობილ მწერალს, დავით სულიაშვილს. იგი თვითონ იყო ამ რიტუალების შემსწრე და, ამდენად, მისი მონათხოვი თრმაგად საინგერესო და შთამბეჭდავია:

„ციხის დასავლეთი კედელი გახტურებულ თონესავით გიბგიბებს. სხივებითანდათან ბევით აიწევენ, მალე კედელი დაიჩრდილება და გორიჯვარზე აბბინდებიან... მიწყნარებულ ქუჩებს მწუხრი ფერი ეფინება. ეკლესიებისა და შენობების კელდები მიტოვებულ ნანგრევებს ჰგვანან...“

საკრებულოსა და ოქონას შორის ჩუსტებიანი პატარა ბიჭები დარბიან, დაკეტილ დარაბებს წინ ჩერდებიან, თავს იყრიან, თითქოს, ვიღაცას უცდიან, მოუსვენრობენ.

დახურულ ბაზარში დარაბები სისწრაფით იკეტებიან, ნოქრები საკრებულოს კიბებე ჩამოცვივდებიან, ქუჩაზე რომ გამოვლენ, ქვედა უბნისაკენ წავლენ... შექუჩდებიან...

მიმოსვლა ხშირდება, ხალხი ემატება. კაკარდიანები, ხალათიანები და ფიჯაკიანები ფილაქნის პირად ეწყობიან. სახლების ერდოებზე, კიბეებზე და აივნებზე თავდახურული ქალები და ბავშვები გადმოსხდებიან. ჩოჩქოლი მაფულობს. პატარა ბიჭები შუა ქუჩაზე გადადიან, ხალხიც თან მიჰყვება.

ორი ბანაკი ერთმანეთს დაუპირისპირდება, – ბედა და ქვედა უბანი დღეს უკანასკნელად შეებრძოლებიან ერთმანეთს, რომელიც გაიმარჯვებს, ამ წლის პირველობა მისია.

ორი ბანაკის შუა დარჩენილი ალაგი თანდათან მცირდება, ერთმანეთს უახლოვდებიან. მობრდილებს პატარა ბიჭები თან მიჰყავთ, რაღაცას არიგებენ, აქებებენ და ყოჩებივით ერთმანეთს აახლოებენ...

ბედაუბნიდან ერთი უქამრო ხალათიანი ბიჭი ხელების ქნევით წამოვიდა. ქნევიდან მისი ფოლი დაუხვდა. ერთმანეთს სილები გააწნეს, მუშტებიც მიაყოლეს. ახლა ორივე მხრიდან გადმოცვივდნენ. ჯგუფური კრივი გახურდა... წრე მოირკალა...

„მიდი, მიდი! ბედ მიდი!.. ეგრე! დასცხე!..“ უყვირიან ბევრიდანაც, ქვევიდანაც. პატარებს ამხნევებენ, აწვებიან. მალე წრიდან პატარა ბიჭები გამოძვრებიან, მათ მობრდილები შეცვლიან. ახლა კი დაგა-დუგი შორს ისმის...

მაყურებელთა ათასი გული გამალებით სცემს, სახე იღმიჭება, ხან გაიშლება, მხრებით ერთმანეთს აწვებიან, ჭვინტებზე დგებიან – „ოხ, შენი ჭირიმე!.. მიდი!.. დასცხე!..“ – გასძახიან. ახლა ქვედაუბნელებმა გაიფანეს. ასტეხენ ყიუნას – „აი, ეგრე, აი!.. მიდი! ბედ მიდი!..“

ბედაუბნელების მხრიდან ჭაბუკების ახალი ნაკადი შეიჭრა. წრე შემჭიდროვდა, შედგა... დაღლილები, დასისხლიანებულები წრეში ვეღარ ძლებენ და წრიდან გავლენ, ეზოებში შეცვივდებიან, წყალს მოითხოვენ და სისხლიან ცხვირ-პირს დაიბანენ, ქამრებს ისწორებენ, ქუდს ეძებენ. მერე მაყურებელთა შორის ჩადგებიან...

ბედაუბნელების მძლავრმა ნაკადმა წრე კვლავ გაარღვია. ქვედა უბანი გაიფანტა. ხალხი ერთმანეთში აირია. აწეული მუშტებით, დაკარწახებული მკლავებით, ყვირილით და გინებით ბედაუბნელები მირბიან... ხალხიც უკან მიჰყვება. ოქონამდის ჩაცვივდებიან და უეცრად ნახევრად დაკეტილი დუქნის დარაბიდან მკლავდაკარწახებული, აკალთებული ცნობილი მოკრივები – ხოლერა, ორი ძმა გოჭი-ბიჭი, გლადკა და ლოხოშა მათ წინ აღიმართებიან...

გაიმართება ხელჩართული კრივი, მუშტების ტრიალი, დაგა-დუგი, შეძახილი, ყიჯინა და სილების ლაწალუწი...

გედაუბნელები მირბიან, ხალხიც მისდევს. პატარა ბიჭები მიხტიან. „ეგრე, აი! მიდი, გედ მიდი!“

ახლა კი გამარჯვება ქვედა უბნელებს დარჩებოდათ, რომ ძველი მოკრივე, ცნობილი ხოდელი – კამეჩივით მძლავრი, მხარბეჭიანი და ძარღვებიანი – მათ წინ შედგა. შედგა და სირბილი შეაჩერა. გვერდში მას ეგნატაშვილი და აზოცელი ამოუდგა...

კაი მოკრივე ბოლოს გამოვაო, – ნათქვამია...

კრივი ერთ ადგილას შედგა, შედედდა... ბოძებივით მიწაზე დაბჯენილი მუხლები, კვახისოდენა მუშტი... ვერავინ უძლებს და ნელი ნაბიჯით, მსხვილი და მხარბეჭიანი ხოდელი მიდის... წინ არავინ უხვდება და ოქონამდის რომ ჩარეკავს, – შედგება... ქვევიდან არავინ გამოდის და გამარჯვება გედაუბნელებს რჩებათ...

უკვე დაბინდდა... მაყურებლები ნელ-ნელა ვიწრო ქუჩაში ძვრებიან, სიბნელეში იშლებიან, ერდოებიდან და კიბეებიდან ჩამოდიან. გვირაბივით ჩაშავებული ქუჩა მიყუჩდება, უდაბნოვდება...

მეორე დღეს სკოლაში მოკრივების ამბავს ჩვენ ვაგრძელებდით... ქვედა და ბედა უბნების ნაცვლად, ჩვენ კლასებად ვიყოფოდით, ერთი კლასი მეორეს ეკრივებოდა.

როგორც დიდ კრივში, ჯერ პატარები გამოდიოდნენ, მათ დიდები მიეშველებოდნენ. მეოთხე კლასელები რომ გამოცვივდებოდნენ, წინ აღარავინ ხვდებოდა. გამარჯვებაც მათ რჩებოდათ.

ჩვენ გვყავდა ჩვენი გმირი მოკრივები, – ხოდელის ადგილს მსხვილთავა ძაგნიძე, ხოლერას მაგიერ – ალექსი მაჭარაშვილი, გოჭიბიჭობას მოხისელი გელა იჭერდა“...

მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელი კრივი ბევრ მაყურებელს იმიდავდა და უამრავი ხალხი ესწრებოდა, ისიც აღსანიშნავია, რომ ხშირი იყო ტრავმები, მოჩხუბართა დასახიჩრება და ბოგჯერ – სიკვდილიც...

ამ მიზეზთა გამო საქართველოს ქალაქებში თანდათან აკრძალეს ასეთი სანახაობანი და გორშიც, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს, მაზრის უფროსი რევაზ ერისთავის ბრძანების გამო, 1896 წლის შემდეგ კრივი აღარ გამართულა.

გორის კრივზე საინტერესო მასალებს აქვეყნებს ბატონი ვაჟა აბრამიშვილი თავის მცირე მოცულობის, მაგრამ ღრმაშინაარსიან წიგნში „ნაცნობი და უცნობი სტალინი“.

გავეცნოთ, შედარებით, მოკლე ამონაწერს აღნიშნული წიგნიდან:

„ცნობილია გორელთა კრივი, რომელიც ძალ-ღონესთან ერთად ჭკუა-გონებასაც მოითხოვდა.

კრივში შეძენილი გამოცდილება შემდგომში, მეორე მსოფლიო ომში საფუძვლად დაედო ფაშიზმის განადგურებას. ომის დამგვირგვინებელი გორის კრივში ნაკურთხი სოსო ჯუღაშვილი, შემდგომში – სტალინი გახდა.

გამოჩენილმა ქართველმა მსახიობმა აკაკი ვასაძემ სტუმრად ყოფნის დროს თვით სტალინისგან მოისმინა:

„მარტივად გეტიუით, სტრატეგიისა და ტაქტიკის მხრივ როგორ ვაჯობეთ ფაშისტების სამხედრო მეცნიერებას.

გორში ორი სასწავლებელი იყო: სასულიერო სკოლა და სამოქალაქო, სამოქალაქოებს „გოროდისტებს“ ვეძახდით, რაც ძალგე აბრაზებდათ. ჩვენსა და მათ შორის გაუთავებელი პაექტობა და ჩხუბი იყო. გამაფხულს კრივში გვიწვევდნენ სამოქალაქო სკოლის მაგარ-მაგარი ბიჭები.

ერთ გამაფხულს მოდის პეტა და მეუბნება – რაღა უნდა ვიღონოთ, რომ გოროდისტებმა კრივში აღარ დაგვჯაბნონ. ბევრი ვიფიქრეთ, მერე შევყარეთ კლასელები და მეც ასეთი წინადაღება წამოვაყენე: მთელი სასულიერო სასწავლებელი სამ მოკრივე ჯგუფად დავყავით. პირველ ჯგუფში სუსტი მოკრივეები უნდა შეგვეყვანა, მეორე ჯგუფში ძლიერნი და მესამე ჯგუფში – უძლიერესნი, ვინც კი გვყავდა. ჯერ ეს სუსტები უნდა მიგვეშვა გოროდისტების წინააღმდეგ, გოროდისტები, რა თქმა უნდა ამათ იოლად გაუმკლავდებოდნენ. მერე მეორე ჯგუფი უნდა მიგვეშვა, მაგრამ პირველს არ უნდა მოესვენა და გალახულებს ეყვირათ: „გოროდისტებო“, რომ ნერვები მოემალათ მათთვის, მწყობრიდან გამოეყვანათ. მეორე ჯგუფს მოერეოდნენ გოროდისტები, მაგრამ საკმაოდ დაიღლებოდნენ. სწორედ ამ დროს უნდა მიგვეშვა მესამე უძლიერესი ჯგუფი ჩვენი მოკრივეებისა და არაქათგამოცლილებისათვის საშუალება არ უნდა მიგვეცა. დამარცხებულ ჯგუფელებს ეღრიალათ „გოროდისტებო“, „გოროდისტებო“, გაუცეცხლებინათ ისინი, ჩვენ კი უკვე დასუსტებულ-გაცეცხლებულებისათვის ახალი ძალებით, ყველაზე ძლიერი ძალებით შეგვეტია. დასვენებულები და მომზადებული, ისინი ჩვენს უძლიერესებსაც გალახავდნენ, მაგრამ ახლა, წესით, ჩვენ უნდა გვეჯობნა.

როგორც მოვილაპარაკეთ ამ თავშეყრაზე, ისე აღვასრულეთ, მაშინ პირველად იყო, რომ სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეებმა ჩხუბში „გოროდისტები“ დავჯაბნეთ და კუდით ქვა ვასროლინეთ“.

„...აი, ქალაქი* შემოჭანდრული,
ვერხვის ფოთლებში გამოხვეული,
აქ ბენაქარი ჟღერს ვით ფანდური,
თავყინულიან მთაში რხეული...

ქალაქს დასცქერის უბარმაბარი
ციხე ხერხემალ-გადატეხილი,
ძირს დაფანტულა დუქან-ბაზარი,
გოდრის თევზი და თაბახზე ხილი...

აქ, ამ სივრცეში გორელ ფალავნებს
ძვალმსხვილი მაჯა დაემკვრივებათ;
ინდოეთისკენ მავალ ქარავნებს
აქ ჩაუვლიათ წეროს მწკრივებად.

აქ, ყველიერში – კრივის ყიქინით
ფხიბლდება ხოლმე ძალა გამქრალი
და შერკვინებას ემხით და ჟინით
შეხვდება ბურნით გორის ამქარი.

* - გ. ლეონიძის პოემიდან. საუბარია ქ. გორის შესახებ.



გიორგი კანდელაკი

დაბ. 1974 წ. 10 აპრილი.

საქართველოს ჩემპიონი (1997), ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი (1991 წ. ქ. სარატოვი), ევროპის ჩემპიონი (1993 წ. ქ. ბურსა), რუსეთის დია ჩემპიონატის გამარჯვებული (1995 წ. მოსკოვი), მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტი (1992 წ. ქ. ტამპერე), მსოფლიო თასის გათამაშების პრიზიორი (1994 წ. ტაილანდი), მსოფლიო ჩემპიონი (1997 წ. ბუდაპეშტი), ატლანტის ოლიმპიური თამაშების მედლოშე; მრავალი საერთაშორისო, „ა“ კლასის ტურნირის გამარჯვებული. სპორტის დამსახურებული ოსტატი; ღირსების ორდენის კავალერი.

მწვრთნელები: გ. კარელიძე (1983-1987) და ავთ. შოშიაშვილი (1983-2002) (საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები).

შენი მუშტის ძალამ შეძრა მთა და მდელო,
ამაყია დღეს ქართველი ყოველი,
მაღლობა, რომ ასახელე საქართველო,
მაღლობა, რომ ხარ უბადლო გორელი.

ილია გლაშაძე

დაბ. 1975 წ. 13 დეკემბერი.

საერთაშორისო სპორტის ოსტატი და ყოფილი საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი კრივში.

საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი მოსწავლეებსა და ახალგაბრდებს შორის, ასევე საქართველოს ორგზის ჩემპიონი დიდებს შორის. ყოფილი საბჭოთა კავშირის „მრომითი რეგიონების“ ჩემპიონატების ოქროსა და ბრინჯაოს მედლების კავალერი.

ახალგაბრდებს შორის (71 კგ.) 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელი.

კრივში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების მრავალგზის მონაწილე, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირების არაერთგზის გამარჯვებული და პრიზიორი.

მწვრთნელები: ა. შოშიაშვილი, გ. კარელიძე.





ბექა ლობჟანიძე (მარჯვნივ)

დაბ. 1981 წ. 8 ივნისი.

საქართველოს ჩემპიონი მოსწავლეთა შორის (1995 წ.), საქართველოს ჩემპიონი ჭაბუკებს შორის (1997 წ.), საქართველოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის (1999 წ.). საქართველოს ჩემპიონი დიდებში (2002, 2005, 2006, 2007, 2009 წ.წ.). საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი კრივში. საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი. ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის პრიზიორი (1999 წ.). ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი (2002 წ.).

მსოფლიო ჩემპიონატების მესამე პრიზიორი (2010-2011 წ.წ.) კლუბებს შორის (კლუბი „ბაქოს ცეცხლები“).

მწვრთნელები: ბ. ყულუმბეგაშვილი, ა. შოშიაშვილი.

დავით ბერიძე

დაბ. 1981 წ.

საქართველოს ჩემპიონი ხუთჯერ ბედიზედ (1996-2000 წ.წ.). საქართველოს ჩემპიონი (15 წლის ასაკში) უფროსი ასაკის მოკრივეთა შორის (1997 წ.) (უპრეცედენტო შემთხვევა საქართველოს კრივის ისტორიაში). საქართველოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის (2000 წ.) 1997-1998 წლებში მონაწილეობდა ევროპის ჩემპიონატებში. 2000 წელს მონაწილეობდა მსოფლიოს მასშტაბით მიმღინარე ციკლში ახალგაზრდებს შორის. არის სტუდენტური უნივერსიალების ორგზის გამარჯვებული 2001 და 2003 წ.წ. მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული. სპორტის ოსტატი. შიდა ქართლის ორგზის ჩემპიონი კიკ-ბოქსინგში. საქართველოს ჩემპიონი შერეულ ორთაბრძოლებში.

„ყაბბეგი-მარათონის“ გამარჯვებული (2016 წ.). პროფესიით იურისტი.

მწვრთნელები: ა. შოშიაშვილი, ბ. ყულუმბეგაშვილი.



რამაზ ბებნაძე (მარჯვნივ)

საქართველოს ორგზის ჩემპიონი (დიდები), ევროპის ჩემპიონატების პრიზიორი, როგორც დიდებში, ისე ახალგაბრდებს შორის, საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული. ძალები მოსინჯა პროფესიონალურ რინგზეც.

მწვრთნელები: გიორგი კარელიძე და ავთანდილ შოშიაშვილი (საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები).



ალექსანდრე თეგეტაშვილი



დაბ. 1971 წ. 27 დეკემბერი.

საქართველოს ჩემპიონი ჭაბუკთა შორის. საქართველოს ჩემპიონატის ფინალისტი ახალგაბრდებს შორის.

გამოდიოდა კიკბოქსინგშიც, სადაც გახდა საქართველოს ჩემპიონი და ევრაზის თასის ფინალისტი.

მწვრთნელები: გ. კარელიძე (საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი) და ნიკოლოზ ანდლულაძე.

სერგო ცაციაშვილი

დაბ. 2001 წ. 20 ივლისი.

საქართველოს ჩემპიონი (2017), მინსკის საერთაშორისო ტურნირის პრიზიორი, გ. კანდელაკის სახელობის საერთაშორისო ტურნირის ფინალისტი.

მწვრთნელები: ბადრი ყულუმბეგაშვილი, ავთანდილ შოშიაშვილი (საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი)



ოთარ ნონიკაშვილი

დაბ. 1983 წ. 25 აგვისტო.

საქართველოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის. საქართველოს ე.წ. სტუდენტური ქალაქების ჩემპიონი. თურქეთის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული.

მწვრთნელები: გიორგი კარელიძე, ავთანდილ შოშიაშვილი (საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები).



გიორგი თოთლაძე

დაბ. 2000 წ. 7 იანვარი.

საქართველოს ჩემპიონი ჭაბუკთა, ასევე ახალგაზრდებს შორის, ბელორუსის საერთაშორისო ტურნირის ფინალისტი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი.

მწვრთნელები: ავთანდილ შოშიაშვილი (საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი), ი. ტლაშაძე.

გიორგი კობახიძე

დაბ. 1965 წ. 2 მარტი.

საქართველოს სპორტსაბოგადოება „კოლეურნებ“ სპორტსაბოგადოება „სპარტაკის“ ჩემპიონი. ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირის (შეიარაღებული ძალების) გამარჯვებული ქ. ბუდაპეშტში. სპორტსაბოგადოება „ბურევესტნიკის“ ქ. ბრიანსკის ტურნირის ფინალისტი.

მწვრთნელი ნიკოლოზ ანდლულაძე (საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი).



გიორგი თევდორაშვილი (მარჯვნივ)



დაბ. 1987 წ. 29 იანვარი.

საქართველოს ჩემპიონი კადეტებში (2002-2003); საქართველოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის.

ამჟამად პროფესიონალი მოკრივი.

მწვრთნელები: ზაგა სააკაშვილი, ავთ. შოშიაშვილი (საქ. დამს. მწვრ.).

გუჯა მექვაბიშვილი

დაბ. 1999 წ.

საქართველოს ჩემპიონი როგორც ჭაბუკთა, ისე ახალაგზრდებს შორის; უკრაინის საერთაშორისო ტურნირების ფინალისტი; საქართველოს მოკრივეთა ნაკრები გუნდის წევრი.

მწვრთნელები: ბ. ლობუანიძე, ავთ. შოშიაშვილი (საქ. დამს. მწვრ.).



გიორგი კევლიშვილი



დაბ. 1981 წ.

საქართველოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის. ამჟამად ცხოვრობს რუსეთში. 2004 წელს გახდა მოსკოვის ოლქის და შემდეგ თავად მოსკოვის ჩემპიონი. 2006 წელს გახდა რუსეთის ჩემპიონი შეიარაღებულ ძალებში. იმავე წელს გახდა გერმანიაში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებული (მსოფლიოს ჩემპიონი) შეიარაღებულ ძალებს შორის.

მწვრთნელები: ბ. ყულუმბეგაშვილი, ავთ. შოშიაშვილი (საქ. დამს. მწვრ.).

მამუკა კობახიძე

დაბ. 1982 წ. 9 იანვარი.

საქართველოს ჩემპიონი ჭაბუკთა შორის; საქართველოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის; საქართველოს ჩემპიონატების პრიზიორი.

მწვრთნელები: ბ. ყულუმბეგაშვილი, ავთ. შოშიაშვილი (საქ. დამს. მწვრ.).



ლაშა კობახიძე

დაბ. 1996 წ. 21 დეკემბერი.

საქართველოს ჩემპიონი კადეფთა შორის; საქართველოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის; კ. მებადიშვილის სახელობის ტურნირის გამარჯვებული.


მწვრთნელები: ბ. ყულუმბეგაშვილი, გ. კობახიძე, ა. შოშიაშვილი.

შალვა შოშიაშვილი (მარჯვნივ)

დაბ. 1980 წ.

საქართველოს ჩემპიონი ჭაბუკთა შორის; კ. მებადიშვილის სახელობის ტურნირის გამარჯვებული; საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების ყოფილი წევრი.

მწვრთნელები: ბ. ყულუმბეგაშვილი, ა. შოშიაშვილი.



ხვიჩა მარგიაშვილი

დაბ. 1971 წ.

საქართველოს ჩემპიონი ჭაბუკთა შორის. ქვეყნის მეორე ახალგაბრდული თამაშების ჩემპიონი; მრავალი რესპუბლიკური და საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული და პრიზიორი.

მწვრთნელი ავთ. შოშიაშვილი (საქ. დამს. მწვრ.)



გიორგი დოლიაშვილი

საქართველოს ჩემპიონი ჭაბუკთა და ახალგაბრდებს შორის (2010-2013 წ.წ.); საერთაშორისო ტურნირების არაერთგზის მონაწილე და ფინალისტი. საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი. საქართველოს 2018 წლის ჩემპიონი.

მწვრთნელები: ბ. ყულუმბეგაშვილი, ა. შოშიაშვილი.

რომან ჯავახიშვილი

დაბ. 1980 წ (სამაჩაბლო; გორი).

საქართველოს ჩემპიონი ჭაბუკთა შორის; ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი ჭაბუკებში.

მწვრთნელები: ავთ. შოშიაშვილი (საქ. დამს. მწვრ.), ბ. ყულუმბეგაშვილი.




ნიკოლოზ სეხნიაშვილი

საქართველოს არაერთგზის ჩემპიონი ახალგაბრდებს შორის და ორგზის ჩემპიონი დიდებს შორის.

მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორი.

მწვრთნელები: ი. ფლაშაძე, ა. შოშიაშვილი.



გურაბ მენაბდიშვილი

დაბ. 2000 წ.

საქართველოს ჩემპიონი ჭაბუკთა შორის; საქართველოს ჩემპიონატის ფინალისტი ახალგაბრდებში; ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი (2016 წ. უნგრეთი); საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი.

მწვრთნელები: ვ. ცაციაშვილი, ავთ. შოშიაშვილი (საქ. დამს. მწვრ.)

ნიკა ჩალაური

დაბ. 2001 წ.

საქართველოს ჩემპიონი ჭაბუკთა შორის; გ. კანდელაკის სახელობის საერთაშორისო ტურნირის ფინალისტი.

მწვრთნელები: ვ. ცაციაშვილი, ავთ. შოშიაშვილი (საქ. დამს. მწვრ.)





სოსო ივანიშვილი


დაბ. 1974 წ.

საქართველოს ჩემპიონი მოსწავლეთა შორის; კარლო მებაღიშვილის (ყოფილი საბჭოთა კავშირის გმირის) სახელობის ტურნირის გამარჯვებული (1987-1988 წ.წ.); ვ. ბერიშვილის სახელობის საკავშირო ტურნირის გამარჯვებული.

თარაშ კანდელაკი

დაბ. 1998 წ. 22 ოქტომბერი.

საქართველოს ჩემპიონი ჭაბუკებში; საქართველოს ჩემპიონი ახალგაზრდებში; ქ. მინსკის (ბელარუსი) საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული.



გიორგი გიორგაშვილი

დაბ. 1980 წ.

საქართველოს ჩემპიონი კადეტთა შორის; ჭაბუკებს შორის ევროპის ჩემპიონატის ფინალისტი და არაერთგზის პრიზიორი.

ქააფა ივანიშვილი


დაბ. 1978 წ. 14 ივლისი.

კრივში ვარჯიში დაიწყო 10 წლის ასაკში.

საქართველოს ჩემპიონი კადეტთა შორის (1994); საქართველოს ჩემპიონი ახალგაზრდებში (1995); კ. მებაღიშვილისა და დ. კვაჭაძის სახელობის ტურნირების გამარჯვებული (1996).



ვლადიმერ ტერაშვილი (მარჯვნივ)



დაბ. 1984 წ.

საქართველოს ჩემპიონი ახალგაბრდებს შორის; ჭაბუკებს შორის მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელი; მრავალი საერთაშორისო ტურინის გამარჯვებული და პრიზიორი.



მწვრთნელები: ბ. ყულუმბეგაშვილი, ავთ. შოშიაშვილი (საქ. დამს. მწვრ.).

ილია მწარიაშვილი

დაბ. 2000 წ. 16 მაისი.

საქართველოს ჩემპიონი ჭაბუკებს შორის (2015-2016 წ.წ.); საქართველოს ჩემპიონი ახალგაბრდებს შორის (2017 წ.); ევროპის ჩემპიონატების არაერთგზის მონაწილე; საქართველოს ნაკრების წევრი.

მწვრთნელები: ავთ. შოშიაშვილი (საქ. დამს. მწვრ.), ი. ტლაშვაძე.



ვასილ ყაბიშვილი

დაბ. 1985 წ.

საქართველოს ჩემპიონი დიდებში; რუსეთის ჩემპიონი ახალგაბრდებში; მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორი.

საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი წევრი. სპორტის ოსტატი.

მწვრთნელები: გ. კარელიძე (საქ. დამს. მწვრ.), ა. შოშიაშვილი (საქ. დამს. მწვრ.).



რაფი ტლაშვაძე

დაბ. 1997 წ. 11 მაისი.

საქართველოს ორგზის ჩემპიონი კადეტთა შორის; ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელი (2002 წ. ქ. სოფია) და ევროპის ჩემპიონატის (2013 წ. ქ. ანაპა) ფინალისტი.

სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორი.

მწვრთნელები: ი. ტლაშვაძე, ა. შოშიაშვილი.

მიხეილ გაბინაშვილი

დაბ. 1997 წ. 22 თებერვალი.

საქართველოს ჩემპიონი ჭაბუკებში (2013 წ.); საქართველოს ჩემპიონატების ფინალისტი მოსწავლეთა და ასევე ახალგაზრდებს შორის.

პროფესიონალურ კრივში ჩატარებული აქვს 14 ბრძოლა (9 მოგება, 3 ფრე, 2 წაგება). სამოყვარულო კრივში ჩატარებული აქვს 30 ბრძოლა.

მწვრთნელები: ბ. ყულუმბეგაშვილი, ა. შოშიაშვილი.




გელა სხირტლაძე (ცენტრში)



დაბ. 1965 წ.

საქართველოს ჩემპიონი მოსწავლეთა შორის (1980 წ.); საქართველოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის (1984 წ.); სომხეთის ჩემპიონი (1984 წ.); ყოფილი საკავშირო ტურნირის გამარჯვებული (1983 წ.); ყოფილი „ბურევესტნიკის“ საკავშირო ტურნირის ფინალისტი; კ. ლესელიძის სახელობის საკავშირო ტურნირის ფინალისტი; რუსეთის, ბრიანსკის ოლქის სამგზის ჩემპიონი.

სურათზე ავთანდილ შოშიაშვილთან ერთად.



დავით ჯანაშვილი

დაბ. 1974 წ.

საქართველოს ჩემპიონი ჭაბუკებს შორის; ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ფინალისტი ჭაბუკთა შორის.

საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული.



მწვრთნელები: გ. კარელიძე, ავთ. შოშიაშვილი (საქ. დამს. მწვრთნელები).

დავით ბერელაშვილი

დაბ. 1970 წ.

საქართველოს ჩემპიონი ჭაბუკთა შორის; საქართველოს ეროვნული თამაშების ფინალისტი; კ. მებაღიშვილის სახელობის ე.წ. საკავშირო ტურნირის გამარჯვებული.

მწვრთნელი ავთ. შოშიაშვილი (საქ. დამს. მწვრ.).



გიორგი ელიობიშვილი

დაბ. 1972 წ.

საქართველოს ჩემპიონი ჭაბუკებში; საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადის ჩემპიონი.


მწვრთნელი: ავთ შოშიაშვილი (საქ. დამს. მწვრ.).

დავით ავაზნელი

დაბ. 1974 წ.

საქართველოს ჩემპიონი ჭაბუკთა შორის.

ყოფილი საბჭოთა კავშრის ჩემპიონატის პრიზიორი კადეტებში და ასევე მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ბრინჯაოს მედლის მგლობელი.



ვანო გოგიშვილი

დაბ. 1970 წ. (სამაჩაბლო-გორი).

საქართველოს ჩემპიონი ჭაბუკებში, ახალგაზრდებში და დიდებში.

მწვრთნელები: ბ. ყულუმბეგაშვილი, ავთ. შოშიაშვილი (საქ. დამს. მწვრ.).


გაგა ავაზნელი

დაბ. 1966 წ.

საქართველოს ჩემპიონი ჭაბუკებში და ახალგაზრდებში. სსრკ-ს სპორტსაბოგადოება „შრომითი რეზერვების“ ჩემპიონატის ფინალისტი.

მრავალი საერთაშორისო ტურირის გამარჯვებული და პრიზიორი.

მწვრთნელები: გ. კარელიძე, ავთ. შოშიაშვილი (საქ. დამს. მწვრ.).



გიორგი რევაზიშვილი


დაბ. 1972 წ.

საქართველოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის. ქ. ვოლგადონსკის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული.

მწვრთნელები: გ. კარელიძე, ავთ. შოშიაშვილი (საქ. დამს. მწვრ.).



ნიკოლოზ ბაბაძე



დაბ. 1970 წ.

საქართველოს ჩემპიონი ახალგაზდებს შორის. ეწ. ვოლგადონსკის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული; საბოგადოება „უროკაის“ ჩემპიონატის პრიზიორი.

მწვრთნელი: ავთ. შოშიაშვილი (საქ. დამს. მწვრ.).

ცეტარ ავაზნელი

დაბ. 1973 წ.

საქართველოს ჩემპიონი როგორც ჭაბუკებში, ისე ახალგაზრდებს შორის; შ. ხუდოიანის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული.

მწვრთნელები: გ. კარელიძე, ავთ. შოშიაშვილი (საქ. დამს. მწვრ.).



ჭიდაობა



შოთა ნიშნიანიძე

მისალმება გორელ ფალავნებს

(ამონარიდი ლექსიდან)

„...სად არ ვიყავ, რა არ ვნახე,
ქვეყანა მაქვს მოვლილი,
გულს კი გორში აუტყდება
ბაგა-ბუგი დოლივით.

.....

გორო, გორო – ლომთქალაქო,
ჯეელო თუ ბებერო,
ჯიშიანო საქართველოვ –
ბეჭებდაუდებელო.

შენ დაუკა! შენ იმრავლე
კერით, ძმიშვილს-დისწულით,
ერთი კიდევ დამანახე
ეგ გორული კისრული!

.....

...აგერ შაშვმა ჭახჭახით დაიხია საყელო...
გრგვინავს სფადიონები და გრიალებს კორიდა...
მე კი პოეტებისა და ფალავანთ სახელით
ვესალმები მსოფლიოს ამ პატარა გორიდან.

ქართველის სპორტსმენები ყოველთვის იყვნენ შთაგონების წყარო ჩვენი პოეტებისა და მწერლებისათვის. არაერთი ბრწყინვალე ლექსი თუ მოთხოვთ მიძღვნილი მათი წარმატებული ასპარეზობისადმი.

მოგვყავს ამონარიდი უსაყვარლესი მწერლის გიორგი ლეონიძის პოემიდან „სფალინი. ბავშვობა და ყრმობა“. ამონარიდი ეძღვნება სახელგანთხმულ მოკრივესა და მოჭიდავეს იაკობ ეგნატაშვილს.

„...მხარდამხარ კლდეკაცი უზის
იაკობ ეგნატაშვილი;
ფალავანია იაკო,
მკლავი აქვს ლონით გაშლილი.

მის ახოვნებას ნაფრულობს
ფალავნებიდან ყოველი,
მისი სარმის და კისრულის
მოწმეა კვირაცხოველი“.



ანზორ ქიბროწაშვილი (1939.25.10-2008.28.11)

ძიუდო (93 კგ.).

ევროპის ჩემპიონი პირად (1955) და ოთხგზის ჩემპიონი გუნდურ პირველობაში. მრავალგზის მეორე და მესამე პრიზიორი. მსოფლიო ჩემპიონატის მეორე ადგილოსანი (1965). ყოფილი სსრკ-ს ორგზის ჩემპიონი სამბოში.

სპორტის დამსახურებული ოსტატი, დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, ღირსების ორდენის კავალერი. საერთაშორისო სპორტის ოსტატი (1965).


გიორგი (გია) თენაძე

დაბ. 1962 წ. 24 მაისი.

ლეგენდარულ გორელ მოჭიდავეთა (ძიუდო) კოპორატის ბრწყინვალე წარმომადგენელი. ყოფილი საბჭოთა კავშირის სამგბის (1986, 1989, 1990) ჩემპიონი (მოსკოვი, კიევი, მინსკი).

ამჟამად ეწევა მწვრთნელის უაღრესად საპასუხისმგებლო საქმიანობას.

ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და სამი შვილიშვილი.



კოლეგებთან ერთად.
მარცხნიდან პირველი
შოთა ხაბარელი,
მარჯვნიდან პირველი
გურამ პაპიგაშვილი.

შოთა ჩოჩიშვილი (1950-2009)




ძიუდოისტი.

ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1972); ევროპის პრიზიორი, თბილისის საერთაშორისო ტურნირების, ასევე ძიუდოში იაპონიისა და ჰოლანდიის ღია პირველობების და იაპონიისა და ბელგიის 1971 და 1973 წლების ტურნირების გამარჯვებული. საქართველოს ორგზის აბსოლუტური ფალავანი ქართულ ჭიდაობაში.

სპორტის დამსახურებული ოსტატი. ღირსებისა და ვახტანგ გორგასალის II ხარისხის ორდენების კავალერი. 2008-2009 წლებში იყო საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვიცეპრეზიდენტი.

შოთა ჩოჩიშვილის უდროოდ წასვლას ამქვეყნიდან ლექსით გამოეხმაურა ცნობილი პოეტი ჯ. ინჯია. მოგვყავს მცირე ამონარიდი:

„...მოჭიდავესაც დასდგომია
დრო საანკესოდ,
თავგადასავლის მოყოლის დრო
უბნის ბიჭებთან.
დამდგარა ქამი ის ტატამი
უნდა აკეცონ,
ვინც ბედ მგლის მუხლით
ლომგულივით დააბიჯებდა.





ვლადიმერ ხინჩეგაშვილი

დაბ. 1991 წ.

მსოფლიოს, ევროპის და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი თავისუფალი სტილით ჭიდაობაში (57 კგ). მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორი კადეტებში, იუნიორებში, დიდებში.

ვლადიმერს (ლადოს) ყველაზე მეტი მედალი ევროპის ჩემპიონატებზე აქვს მოპოვებული: ორი ოქრო, ერთი ვერცხლი და ერთიც ბრინჯაო.



ჰკვიანო, ძლიერო, მედგარო, ვეფხვის და არწივის ჯიშო, პლანეტის კვარცხლბეჭებე შემდგარო, პატარა გორელო ბიჭო.

რწმენის და იმედის მომცემო, ეგ ჯილდო ალალი არის, შენ ყველა მეტოქე მოცელე, არა გაქვს არავის ვალი.

მომავალს სანეფოდ უყურებ, არაფრით შედრკები – ვიცი, ეს ჰიმნი ახლა რომ გუგუნებს, დღეს შენ ხარ ავტორი მისი! აკაკი ბიძინაშვილი

აღსანიშნავი და მისასალმებელია ის გარემოება, რომ ვლ. ხინჩეგაშვილმა გორის მუნიციპალიტეტთან შეთანხმებით, თავისი საკუთარი შესაძლებლობებით ძეგლი დაუდგა (ამ სიტყვების პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით) თავის უსაყვარლეს მწვრთნელსა და აღმზრდელს ბატონ ნ. სხიერელს მისივე სახელობის სპორტული დარბაზის წინ.

(ბიუსტის ავტორია მ. წოწორია).



გიორგი ხინჩეგაშვილი (1968-1999)

1987 და 1989 წლებში ევროპის (იუნიურები) და მსოფლიოს (ახალგაბრდები) ჩემპიონი და ასევე იუნიორთა 1988 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე ადგილოსანი. იყო საქართველოს და ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. შეყვანილ იქნა საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში.

სამწუხაროდ, ვერ მოესწრო შვილის, ლადოს წარმატებებს მსოფლიო დონის ასპარეზობებზე.



ოთარ თუშიშვილი

დაბ. 1978 წ. 14 ივნისი.

იუნიორებში ევროპის ჩემპიონი. მრავალგზის მეორე და მესამე პრიზიორი როგორც იუნიორებში, ისე ახალგაბრდებსა და დიდებს შორის. იგი გახლავთ ასევე პეკინის ოლიმპიური თამაშების (2008) პრიზიორი.

გიორგი ბალიაშვილი

დაბ. 1983 წ. 23 ოქტომბერი.

საქართველოს ჩემპიონი როგორც ახალგაბრდებს (2004), ისე დიდებს (2007) შორის. ვახტანგ ბალავაძისა და უმახანოვის საერთაშორისო ტურნირების ვერცხლის პრიზიორი და ახალგაბრდებს შორის ევროპის ჩემპიონატის (ვარნა) ბრინჯაოს მედლის მფლობელი (60 კგ).



ბერებაშვილების შესანიშნავი პეარტეტი



დურმიშხანი (დურო) - უფროსი (1935-1978)

„...იგი იყო ჭიდაობის რამდენიმე სახეობის ოსტატი. მისთვის, როგორც ქართულ ჭიდაობაში წრთობილი ფალავნისათვის, თანაბრად მისაწვდომი იყო სამბოც და ძიუდოც.“

დურმიშხანი იყო ევროპის, ყოფილი საბჭოთა კავშირის, უმაღლესი სასწავლებლებისა და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი. იგი იყო საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი...“


გივი ბაუტაშვილი (დამსახურებული მწვრთნელი)

ელგუჯა (გუჯა) - უფროსი

დაბ. 1960 წ. 5 ოქტომბერი.

სახეობა – ძიუდო (95 კგ).

ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი (1977-1980 წ.წ.).





დურმიშან (დურო) - უმცროსი

დაბ. 1984 წ. 17 აპრილი.

სახეობა – ძიუდო; მძიმე წონა.

ევროპის ჩემპიონი მოსწავლეთა შორის (პოლანდია).

ელგუჯა (გუჯა) - უმცროსი

დაბ. 2008 წ. 28 თებერვალი.

სახეობა – ძიუდო.

2018 წლის საქართველოს ჩემპიონი (სურათგე ცენტრში) 2008-2009 წლებში დაბადებულთა ასაკობრივ ჯგუფში.

ბერუაშვილების სპორტულ ოჯახში აციმციმდა კიდევ ერთი მომავალი ვარსკვლავი.

ელგუჯა უმცროსი სწავლობს გორის სასულიერო სემინარიაში, ამჟამად მე-5 კლასში. იგი წარმატებული მოსწავლეა, ე.წ. ათოსანი. განსაკუთრებით უყვარს ქართული ენა და ლიტერატურა. სპორტის სხვა სახეობებიდან მოსწონს ფეხბურთი. მისი კერპია პორტუგალიელი რონალდუ.


გუჯა უმცროსის მწვრთნელია მალხაზ ავაბნელი.



გიგლა მაყიშვილი

დაბ. 1986 წ. 14 იანვარი.

ევროპის ჩემპიონატების (2008 და 2009 წ.წ.) ოქროს მედლების მფლობელი ახალგაზრდებში, ასევე ვერცხლის პრიზიორი როგორც ჭაბუკებში (სტამბული, 2004 წ.), ისე ახალგაზრდებში (გვატე-მალაში ჩატარებულ მსოფლიო პირველობაზე).



შალვა მუჩიაშვილი

დაბ. 1982 წ. 30 მაისი.

საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის, ევროპის ვერცხლის პრიზიორი.

მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული



მალხაზ მუჩიაშვილი

დაბ. 1985 წ. 10 მაისი.

საქართველოს ჩემპიონი; ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი დიდებში.



თამაზ ინდუაშვილი

მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის. სხვადასხვა რანგის ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორი.


ამჟამად ცხოვრობს რუსეთში.

დავით პოლოსიანი

დაბ. 1974 წ. 21 აგვისტო.

სპორტის დამსახურებული ოსტატი;

ევროპის ორგზის ჩემპიონი დიდებს შორის; ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის; მსოფლიო ჩემპიონი ჭაბუკებში (1990, უნგრეთი); მსოფლიო ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი და ასევე სიდწეისა და ათენის ოლიმპიური თამაშების პრიზიორი. დამსახურებული მწვრთნელი.



გიორგი გოგმელიძე

დაბ. 1978 წ. 7 ნოემბერი.

მსოფლიო ჩემპიონი (2001); ევროპის ჩემპიონი 2001 და 2008); მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის; ასევე მსოფლიო ორგზის ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორი და პეკინის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი.

2006 წლის მსოფლიოს საუკეთესო მოჭიდავე.


სერგო ქარელი

დაბ. 1948 წ. 28 იანვარი.

ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სპორტსმენი. მიღწევები აქვს ორ სახეობაში – სამბობი და ძიუდოში. საბჭოთა კავშირის ხალხთა მე-5 სპარტაკიადის გამარჯვებული სამბობი (პირველი ჩემპიონი საქართველოდან); საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ძიუდოში; საბჭოთა კავშირის უნივერსიადის ჩემპიონი ძიუდოში და საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის პრიზიორი და ჩემპიონი; საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე.

„...ჭკვიანი მოჭიდავეა და უხვად იყენებს ქართული ჭიდაობის ილეთებს. მოსაწონია მისი გამარჯვებისკენ მისწრაფება და ვაჟკაცური შემართება“ (გ. პაპიფაშვილი).

გორში ტრადიციულად იმართება სერგო ქარელის სახელობის ტურნირი მისი დაბადების დღეს. 2014 წლიდან სერგო ქარელი მუშაობს გორის რაიონის კომპლექსური სპორტული სკოლის დირექტორის მოადგილედ.





ვლადიმერ მოდოსიანი

მსოფლიოს ჩემპიონი (1986); მსოფლიო თასის მფლობელი; კეთილი ნების თამაშების ჩემპიონი; ევროპის ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორი.


ამჟამად ცხოვრობს რუსეთში.

ამირან ელბაქიძე

დაბ. 1982 წ. 15 დეკემბერი.

სახეობა – თავისუფალი ჭიდაობა (60 კგ).

ევროპის (2002) ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს შორის. მსოფლიო ჩემპიონატების (1989-1999) პრიზიორი კადეტებს შორის.



ჯემალ მჭედლიშვილი

დაბ. 1962 წ. 20 სექტემბერი.

ძიუდო, სამბო (86, 82 კგ).

მსოფლიოს ორგზის (1987-1989), ევროპის სამგზის (1987, 1989, 1991), საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი (1987, 1989) და თასის მფლობელი სამბოში (1986). საბჭოთა კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის მეორე პრიზიორი (1983) და სსრკ ჩემპიონატის მესამე პრიზიორი ძიუდოში (1986), საქართველოს ორგზის აბსოლუტური ფალავანი ქართულ ჭიდაობაში (1985, 86). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, ღირსების ორდენის კავალერი. საქართველოს აბსოლუტური ფალავანი 1985-1986 წ.წ.





გენო პეტრიაშვილი

დაბ. 1994 წ. 1 აპრილი (თავისუფალი ჭიდაობა).


მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის (120 კგ). ევროპის ჩემპიონი (1016) და ბრინჯაოს პრიზიორი (2013), ასევე მსოფლიო ჩემპიონი (2017) და ორგზის ბრინჯაოს მედლის მფლობელი დიდებს შორის.

გიორგი ვაჩაგაშვილი

დაბ. 1974 წ. 19 აპრილი.

ძიუდოისტი (66 კგ).

ევროპის ორგზის (1996, 1997) ჩემპიონი. მსოფლიოს ჩემპიონატების ვერცხლისა (1995) და ბრინჯაოს (1993, 1997) მედლების მფლობელი. სიდწეის ოლიმპიური თამაშების (2000) პრიზიორი. საქართველოს წლის (1995) საუკეთესო სპორტსმენი. ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენების კავალერი.



ლაშა შავდათუაშვილი

დაბ. 1992 წ. 31 იანვარი.

ძიუდოისტი (66 კგ).

ოლიმპიური თამაშების ოქროს მედალისანი (2012), რიო-დეჟანეიროს (2016) ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი.

თემურ ხუბულური



დაბ. 1955 წ. 24 აპრილი.

ძირითადი საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი. საქართველოს წლის (1979) საუკეთესო სპორტსმენი. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (1979, 1981), ევროპის ორგზის ჩემპიონი (1976, 1979) და ვერცხლის პრიზიორი (1981). ასევე ევროპის ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში (1977). ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს მესამე პრიზიორი (1974) და ევროპის ჩემპიონი (1975). სსრკ ხალხთა VI სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონი (1979), სსრკ ორგზის ჩემპიონი (1979, 1982), საქართველოს აბსოლუტური ფალავანი ქართულ ჭიდაობაში (1976). 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალოსანი (95 კგ).

კობა კურტანიძე

დაბ. 1963 წ. 13 ოქტომბერი.

ძირითადი (95 კგ).


მსოფლიოს ჩემპიონი (1989), ევროპის ორგზის (1987, 1989) ჩემპიონი. ყოფილი საბჭოთა კავშირის ხალხთა IX და X სპარტაკიადების ჩემპიონი (1986, 1991), საბჭოთა კავშირის შვიდგზის (!) ჩემპიონი (1985-91 წლები). საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ღირსების ორდენის კავალერი.

დეიდაშვილის, ოლიმპიური ჩემპიონის შოთა ჩოჩიშვილის მსგავსად, კობამ გაიარა ცნობილი მწვრთნელების გ. ზაუტაშვილისა და გ. პაპიგაშვილის საჩემპიონო სკოლის სწავლის კურსი და მსოფლიო აღიარების ქამიც მაღე დადგა.

კობამ ჭიდაობის განსაკუთრებული ტექნიკით, მწვრთნელების მიმართ პატივისცემით და კაი კაცობით მოიხვეჭა სახელი.

ტრაგიკულმა შემთხვევამ შეიწირა უდიდესი მოჭიდავისა და კაცის სიცოცხლე. ეს მოხდა 2005 წლის 6 დეკემბერს.




როინ მაღალთაძე

დაბ. 1941 წ. 23 აგვისტო.

თავისუფალი სტილი, სამბო, ძიუდო.

საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი; ევროპის ჩემპიონი (1968); ყოფილი საბჭოთა კავშირის არაოფიციალურ პირველობაში (1971) გამარჯვებული, ასევე იტალიის დია ჩემპიონატის (1967) და საფრანგეთის საერთაშორისო ტურნირის (1968) პირველადგილოსანი; მრავალგზის პრიზიორი.



იოსებ ახალბედაშვილი

დაბ. 1977 წ. 29 მარტი.

სახეობა – სამბო, (100 კგ).


მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი; ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მრავალგზის პრიზიორი.

დავით კარბელაშვილი

დაბ. 1989 წ. 27 მაისი.

სახეობა – ძიუდო, სამბო.

მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი. საქართველოს რამდენიმეგზის ჩემპიონი და ევროპის პრიზიორი სამბოში.





გიორგი გეგელაშვილი

დაბ. 2002 წ. 10 მარტი.

სახეობა – თავისუფალი ჭიდაობა (48 კგ).


ევროპის ჩემპიონი (2017); მსოფლიოს (2016) და ევროპის (2018) ჩემპიონატების მესამე პრიზიორი კადეტებს შორის. საქართველოს ჩემპიონი კადეტებს შორის.

ბორის გოგიჩაშვილი

დაბ. 1958 წ. 15 თებერვალი.

სახეობა – ძიუდო (86, 95 კგ).

ყოფილი საბჭოთა კავშირის ორგზის (1978, 1983) ჩემპიონი. ევროპის ჩემპიონი (1978) ახალგაზრდებს შორის; მსოფლიოს ჩემპიონი (1978) სტუდენტებს შორის; ევროპის ჩემპიონატის (1983) ვერცხლის პრიზიორი. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი. საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.



ომარ გუსოშვილი

დაბ. 1992 წ. 28 მაისი.

სახეობა – თავისუფალი ჭიდაობა (96 კგ).

2015 წლის ევროპის ჩემპიონატის (პოლონეთი) გამარჯვებული 23 წლამდე ასაკის სპორტსმენთა შორის. საქართველოს ჩემპიონი ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს შორის.

ნიკოლოზ ბიბილაშვილი



დაბ. 1975 წ. 27 ივნისი.

სახეობა – ძიუდო (66 კგ).


საერთაშორისო ტურნირის (სალონიკი) ჩემპიონი; საქართველოს ჩემპიონი; მოსკოვის ჩემპიონი. 2012 წლის საქართველოს საუკეთესო მწვრთნელი. ოლიმპიური ჩემპიონის ლამა შავდათუაშვილის (სურათბე მარჯვნივ) პირადი მწვრთნელი.

ნოდარ მეტრეველი

დაბ. 1987 წ. 13 იანვარი.

სახეობა – ძიუდო.

მსოფლიოს ჩემპიონი (2009) გუნდურ ჩათვლაში; ევროპის ჩემპიონი ახალგაბრდებს შორის (2007); ევროპის ჩემპიონი სამბოში დიდებს შორის (2012); ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების (2014 და 2013) პრიზიორი. დამსახურებული მწვრთნელი. სახელმოხვეჭილი მოჭიდავის გივი კახაბრიშვილის პირადი მწვრთნელი.



მერაბ ნარიაშვილი

დაბ. 1949 წ. 17 აგვისტო.

სახეობა – თავისუფალი ჭიდაობა (62 კგ).

საქართველოს (სპორტსაბოგადოება „ბურევესტნიკი“) ჩემპიონი (1973).

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. ამჟამადაც განაგრძობს აქტიურ სამწვრთნელო მოღვაწეობას ქ. გორში.

ნოდარ ექვთიმიშვილი

დაბ. 1949 წ. 23 მაისი.

სახეობა – სამბო (100 კგ).

საჭიდაო სამყაროს უბრწყინვალესი წარმომადგენელი. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი. ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და მრავალგზის პრიზიორი. უამრავი (მათ შორის იაპონიის, ინგლისის, მონღოლეთის, მოსკოვის, დუშანბეს, მაიკოპის...) საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული.

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი; საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი; ღირსების ორდენის კავალერი.



სამბოში საქართველოში პირველად ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატის მთავარი ორგანიზაციონი (1997) და წარმმართველი.

ნოდარ ექვთიმიშვილი გახლავთ პირველი ქართველი, რომელმაც დაიკავა მსოფლიოსა და ევროპის სამბოს ფედერაციების ვიცეპრეზიდენტის პოსტი.

ჰყავს მეუღლე, შვილი, რძალი და ორი შვილიშვილი.



თენგიზ ჩოჩიშვილი

დაბ. 1991 წ. 21 იანვარი.

ევროპის ჩემპიონი (2008) ჭაბუკთა შორის (63 კგ).

თენგიზ ჩოჩიშვილი არის ასევე 2010-2011 წლებში ევროპის ჩემპიონატის (ბულგარეთი) ვერცხლის და ბრინჯაოს პრიზიორი ახალგაზრდებში და ასევე მსოფლიო ჩემპიონატის (უნგრეთი) მესამე პრიზიორი.

*
* *

სამწევაროდ, ვერ მოვიძიეთ ფოტო მსოფლიო ჩემპიონი აკაკი ხანიშვილის (სამბო. საცხოვრებლად წასულია საბერძნეთში), ასევე 1999 წელს ქ. სიღნეიში გამართული მსოფლიო ჩემპიონატის (ახალგაზრდებს შორის) გამარჯვებულის იოსაბ მომცელიძის.

ପ୍ରାକ୍ତନ୍ତି



ჩვენს უკიდეგანო და უწყვეტ სამყაროში ყველას და ყველაფერს ჰქონდა, აქვს და იმედი ვიქონიოთ, მომავალშიც ექნება თავისი და-საბამი (დასაწყისი, ისტორია). ვფიქრობ, რომ ჩვენთვის, სპორტის შე-დარებით ახალი სახეობა კარატეც არ წარმოადგენს გამონაკლისს. ქვემოთ მოკლედ მოგახსენებთ საქართველოში თანამედროვე კარატეს გამოჩენის, ფესვმოკიდებისა და განვითარების ისტორიას, რაც, დარწ-მუნებული ვარ, საინტერესო იქნება ფართო საზოგადოებისათვის.

2015 წელს საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაციის თავმ-ჯდომარის ბატონ კახა ბასილიას ავტორობით გამოიცა წიგნი სახელ-წოდებით „ქართული კარატე 50 წლისაა“.

წიგნში ვკითხულობთ: „...იაპონური ორთაბრძოლა კარატე, თავისი დღევანდელი ფორმით, მხოლოდ XX საუკუნის დასაბამიდან არ-სებობს, თუმცა, მისი, როგორც საბრძოლო ხელოვნების, ისტორია ათასწლეულებს ითვლის. თანამედროვე საქართველო კარგად იცნობს აღმოსავლურ საბრძოლო სისტემებს, მათ შორის კარატესაც. მრავალი დოკუმენტური მასალის დაკვირვებული ანალიზის წყალობით შეგვი-ძლია განვაცხადოთ, რომ ქართული თანამედროვე კარატე 50 წლისა გახლავთ.

იაპონური ორთაბრძოლების მსოფლიო მასშტაბით პროპაგანდა დაიწყო 1964 წელს, სწორედ იმ პერიოდში გავრცელდა კარატე ყოფილ საბჭოთა კავშირში და შემოაღწია საქართველოშიც.

ქართველობამ უმაღ შეისისხლხორცა და გაითავისა კარატე, რო-გორც საბრძოლო ხელოვნების ფენომენი და აღმოჩენის უნიკალური სისტემა, როგორც სპორტის ახალი, თანამედროვე და პერსპექტიული სახეობა.

საქართველოში კარატეს დანერგვა და მისი შემდგომი სრულყოფი-ლი განვითარება წარმოადგენდა საკმაოდ რთულ პროცესს, მაგრამ კართული კარატეს ფუძემდებლები შეუპოვარნი გახლდნენ თავიანთ

მისწრაფებებში და მაღე საქართველომ საპატიო ადგილი დაიკავა ყოვილი საბჭოთა რესპუბლიკებს შორის.

1979-80 წლებში საკავშირო სპორტკომიტეტმა კარატე აღიარა სრულყოფილ და სრულუფლებიან სპორტის სახეობად და საქართველოს კარატეს ფედერაციასაც მიენიჭა ოფიციალური სტატუსი. დაიწყო შეჯიბრებების და სხვა ღონისძიებების ჩატარება. ყოველდღიურად იზრდებოდა კარატეს ავტორიტეტი. სულ უფრო მეტი მოხალისე ჩაება ინტენსიურ წვრთნებში და, რომ იტყვიან, კარატემ საქართველოში გაიკაფა თავისი გზა.

მაგრამ მოხდა საოცრება – ყოფილი საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ მოულოდნელად აკრძალა კარატეს სწავლება და აქედან გამომდინარე, ყველა ღონისძიება, რაც ხელს შეუწყობდა კარატეს შემდგომ განვითარებას. სპორტის ამ ლამაზმა და საინტერესო სახეობამ გადაინაცვლა იატაკებებით. ეს მდგომარეობა გაგრძელდა საბჭოთა კავშირის დაშლამდე (1989-1990 წლებამდე).

1990 წელს საქართველოს კარატეს ფედერაცია, მისი აქტიური წევრის ბურაბ მერაბიშვილის ინიციატივით გაერთიანდა მსოფლიოში უკვე კარგად ცნობილ **JTKA** ორგანიზაციაში. 1990 წელს საქართველოს ნაკრებმა დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსით (საკუთარი პიმნითა და დროშით) მონაწილეობა მიიღო მეხუთე მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც ჩატარდა პერუს დედაქალაქ ლიმაში.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ქართულმა კარატემ დაიწყი იაპონურ საერთაშორისო სფანდარტებზე გადასვლა. გახშირდა ჩვენი გუნდის მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებში.

გადიოდა წლები და ქართული კარატე სულ უფრო და უფრო მაღალ საფეხურებს იპყრობდა. საერთაშორისო ასპარეზზე მიღწეული შედეგებით მაღე გადავასწარით რუსეთს, ბელორუსს და უკრაინას.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში გახშირდა იაპონელ სპეციალისტთა ვიზიტები და მაღალი რანგის ღონისძიებები, რამაც დადებითი გავლენა იქონია კარატეს განვითარებაზე. აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობდნენ ქართველი კარატისტებიც.

1995 წელს საქართველოში ჩამოყალიბდა შოტოკან კარატე-დოს ფედერაცია. სემინარებისა და ატესტაციების ჩასატარებლად მოწვეული იქნა იაპონელი ოსტატი ჰიგოში კასუია.

1999 წელს საქართველოს კარატეს ფედერაციასა და თავდაცვის სამინისტროს შორის გაფორმდა მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. შეიარაღებულ ძალებში კარატე დაინერგა როგორც სავალდებულო დისციპლინა. მაშინდელმა მინისტრმა (ფედერაციის აქტიურმა წევრმა) დავით თევზაძემ კარგად იცოდა, თუ რა სიკეთის მოტანა შეეძლო კარატეს ქართული შეიარაღებული ძალებისთვის.

2001 წლის ოქტომბერში თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობდა 22 ქვეყნის 1000-ზე მეტი სპორტსმენი. ტურნირზე თვალსაჩინოდ წარმოჩნდა ქართველ კარატისტთა ნიჭი და შესაძლებლობები.

2012 წელს გაიმართა საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაციის ყრილობა. ყრილობას ესწრებოდა კარატეს ყველა მიმართულების 235 დელეგატი. ყრილობამ ჩაიარა საქმიან ვითარებაში.

საჭიროა აღინიშნოს, რომ საქართველოს სახელისუფლებო ორგანიზაციები თანდათან უფრო მეტ ყურადღებას უთმობდნენ სპორტის ამ ახალ სახეობას, რის გამოხატულებაც გახდა ის, რომ 20013-2014 წლებში ეროვნული ფედერაციის ბიუჯეტი 25 ათასი ლარიდან ნახტომისებრ გაიზარდა და შეადგინა 200 ათასი ლარი.

საქართველოს კარატეს ნაკრები გუნდი ახლა მთლიანად ფინანსდება ფედერაციის ბიუჯეტიდან. საერთაშორისო შეჯიბრებებისათვის სპორტსმენთა მზადება უკვე ისეთივე ფორმით მიმდინარეობს, როგორც სპორტის სხვა სახეობებში.

საქართველოს ჩემპიონატზე გამოვლენილი საუკეთესო სპორტსმენები გადიან საწვრთნელ შეკრებას, სადაც შესარჩევი და საკონფრონლო ორთაბრძოლების შემდეგ საბოლოოდ ყალიბდება ნაკრები გუნდის შემადგენლობა“.

კახა ბასილაიას თავის წიგნში ჩამოთვლილი ყავს ყველა ის ლიდერი, რომელიც წინ მიუძღვის კარატეს ამა თუ იმ სახეობას. აი ისინიც:


- კიოკუშინკაი კარატე – გურამ ბარაბაძე
(საუკეთესო მასწავლებელი და მენეჯერი)
- გოჯუ-რიუ – პაატა ჭელიძე
- შიგო-რიუ – ვადიმ გულბანი
- ვადო-რიუ – თემურ ჯორჯაძე, გიორგი ბერიძე
- შოტოკან კარატეში კი პრიორიტეტი ეკუთვნით იაპონელებს კანაზავას და კასუიას მიმართულების მიმდევრებს (2015 წლის მონაცემებით)

და ბოლოს,

2013-14 წლებში საქართველოს გუნდმა სრული სპორტული ეკიპირებით და მომზადების მაღალი დონით იასპარება იუნიორების, კადეტებისა და სენიორების საერთაშორისო ტურნირებში, ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატებში და ყოველივე ამის შედეგი იყო 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე გოგიფა არქანიას მიერ მოპოვებული ოქროს მედალი.

აღსანიშნავია, რომ ამ მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელშიც მონაწილეობდა 120 ქვეყანა, გუნდურ ჩათვლაში საქართველომ დაიკავა მეათე ადგილი, რაც უდაოდ დიდ წარმატებად უნდა მივიჩნიოთ, მითუმეტეს რომ მოვიპოვეთ ოქროს მედალი.

დავით დავითაშვილი



დაბ. 1984 წ. 24 მაისი.

საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი კარა-
ცესა და კიკბოქსინგში.

მოსკოვის მსოფლიო ჩემპიონატის მესამე
ადგილოსანი.

ბრძოლა წესების გარეშე სტილში იაპონიის
2001-2005 წლების ჩემპიონატების პრიზიორი.

ამჟამად ცხოვრობს აშშ-ში. ავარჯიშებს ბავ-
შვებს კარაცესა და კიკბოქსინგში.

მწვრთნელი ბაქარია მირუაშვილი.

გაგა სადალაშვილი

საქართველოს ჩემპიონი. უფროსი ინ-
სტრუქტორი ფულოკან კარაცე-დოს სტილში.

დაიღუპა 1992 წელს აფხაზეთში მიმდინარე
საბრძოლო მოქმედებების დროს.

მწვრთნელი ბაქარია მირუაშვილი.



ლაშა მაისურაძე

დაბ. 1993 წ. 25 აპრილი.

საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი.

ოკინავური გოჯუ-რიუ კარაცე-დოს სტილი



გიორგი წერიალაშვილი

ოკინავური გოჯუ-რიუ კარატე-დოს სტილი.
ასევე ჯუნდოკანი და კინუდო.

საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, ევ-
როპის ჩემპიონი. თბილისის საერთაშორისო
ტურნირის გამარჯვებული (2002-2003 წ.წ.).

ვასილ ხმიადაშვილი

საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი. ევრო-
პის ჩემპიონი (1992 წ.).

სტილი: ოკინავური გოჯუ-რიუ კარატე-დო და
ჯუნდოკანი.

ვ. ხმიადაშვილი არის ასევე კიკბოქსინგში კა-
ვკასიის თასის მფლობელი.



ქეთევან გულუაშვილი

საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი. ევ-
როპის ჩემპიონი. თბილისის საერთაშორისო
ტურნირის გამარჯვებული (2002-2003 წ.წ.).

სტილი: ოკინავური გოჯუ-რიუ კარატე-დო,
ჯუნდოკანი და კიბუდო.

მზვროთნელი ბაქარია მირუაშვილი



გურამ კაჯილაშვილი

საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და არ-აერთი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული.

სფილი: ოკინავური გოჯუ-რიუ კარატე-დო და შოტოკან კარატე-დო.



ირაკლი ბაბანდარაშვილი

საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი (სურათი ადრეული ასაკის).

სფილი: ოკინავური გოჯუ-რიუ კარატე-დო და შოტოკან კარატე-დო.



იასონ დავითაშვილი

საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი.

სფილი: ოკინავური გოჯუ-რიუ კარატე-დო და კიკბოქსინგი.

ვახტანგ მარწყვიშვილი

დაბ. 1996 წ. 8 მარტი.

ვარჯიში დაიწყო ოთხი წლის ასაკიდან. არის საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი.

სტილი: როგორც კიკბ თქსინგი, ისე ოკინავუ-რი გოჯუ-რიუ კარატე-დო.



შოთა ჩიხლაძე

საქართველოს არაერთგზის ჩემპიონი და რამდენიმე საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული.


სტილი: ოკინავური გოჯუ-რიუ კარატე-დო და ხელჩართული სამხედრო ორთაბრძოლები.

გიორგი ხაბელაშვილი

დაბ. 1989 წ. 12 ივლისი.

საქართველოს არაერთგზის ჩემპიონი.

სტილი: ოკინავური გოჯუ-რიუ კარატე-დო და კიკბ თქსინგი.



ჯიმშერ (ჯიმი) ჩიხლაძე

საქართველოს ჩემპიონი სხვადასხვა წლებში.

სტილი: ფუდოკან კარატე-დო.



ლელა ბერიანიძე

დაბ. 1987 წ. 28 მარტი.

საქართველოს ჩემპიონი სხვადასხვა წლებში.

სტილი: ფუდოკან კარატე-დო.

ანა გიგაური

დაბ. 1986 წ. 30 აინვარი.

საქართველოს ჩემპიონი.

სტილი: ოკინავური გოჯუ-რიუ კარატე-დო,
კიოკუშინკაი კარატე.





ნინო საბიაშვილი

დაბ. 1991 წ. 15 მაისი.

საქართველოს ჩემპიონი.

სტილი: ოკინავური გოჯუ-რიუ კარატე-დო,
კიოკუშინკაი კარატე.

ალექსანდრე ლოცულაშვილი

საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი.

სტილი: ოკინავური გოჯუ-რიუ კარატე-დო,
კიოკუშინკაი კარატე.



განო ბაიდაური

დაბ. 1991 წ. 9 სექტემბერი.

სტილი: ოკინავური გოჯუ-რიუ კარატე-დო
და კიოკუშინკაი კარატე-დო.

საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, სხვა-
დასხვა საერთაშორისო ტურნირების გამარჯვე-
ბული და ასევე კავკასიის თასის მფლობელი 10-
11 წლის ასაკოვანთა რანგში.



ოთარ (ოთო) ხიბანიშვილი

საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და ასევე მრავალი საერთაშორისო რანგის ტურნირის გამარჯვებული.

სტილი: ოკინავური გოჯუ-რიუ კარატე-დო და ხელჩართული სამხედრო ორთაბრძოლები.

* *
* *

წიგნზე მუშაობისას, მიუხედავად მცდელობისა, ვერ მოხერხდა დაკავშირება ათეულობით ჩემპიონთან. აღვნიშნავთ, რომ სხვადასხვა წლებში და ასაკში კარატეს სხვადასხვა სტილში საქართველოს ჩემპიონები იყვნენ: გ. ბბიშვილი, გ. გიორგაშვილი, ს. ელბაქიძე, ბ. ვანიშვილი, თ. ვანიშვილი, რ. ვანიშვილი, ლ. თოთლაძე, შ. მისირელი, ჭ. მიხანაშვილი, გ. რაზმაძე, ლ. რაზმაძე, რ. ქრისტესიაშვილი, ბ. ციქუბაძე, ა. ჯიოშვილი, ვ. ხაბელაშვილი, თ. ხორბალაძე, თ. ქანაშვილი.

ଶାହକାଳ



ჭადრაკი რომ უძველესი თამაშია, ამაზე არ არსებობს ორი აზრი, მაგრამ რამდენად ძველი – ეს უკვე სხვა საქმეა.

რაც დრო გადის, მით უფრო ბუსტდება სპორტის ამა თუ იმ სახეობის წარმოშობის დრო და „მშობელი“ ქვეყანა. მაგრამ ისტორიკოსები და არქეოლოგები ვერ „ისვენებებ“ და დროდადრო გვთავაზობენ სიურპრიზებს.

არსებობს საინტერესო ლეგენდა, რომელიც ამტკიცებს, რომ ჭადრაკის თამაში გამოიყონა ვინმე ინდოელმა (ჩვენს წელთაღრიცხვამდე ძალიან დიდი ხნით ადრე) სეფამ. იგი აქტიურად აწარმოებდა პროპაგანდას და მთელი ქვეყანა დააინტერესა ახალი თამაშით. ამ ამბავმა მიაღწია მეფემდე, რომელმაც იხმო გამომგონებელი და შეისწავლა ჭადრაკის თამაში. გარკვეული დროის შემდეგ აღფრთოვანებულმა მეფემ ისურვა გამომგონებელი დაუჯილდოვებინა და იხმო თავისთან.

„ისურვე, რაც გინდა, მზად ვარ დაგასაჩუქრო საინტერესო თამაშის გამოგონებისთვისო“ – ბრძანა მეფემ და ნაზირ-ვებირებით გარემოცულმა ამაყად გადახედა სეფას.

არაფერი არ მინდაო, მორცხვად მიუგო გამომგონებელმა. როგორ თუ არ გინდა, მე ასე მსურს და ასე იქნებაო. არ მინდა არაფერი, თქვენ იყავით კარგადო, გამოსცრა კბილებს შორის. მეფე გაბრაზდა და მკაცრად მოითხოვა სეფასგან დაესახელებინა საჩუქარი. გამომგონებელი მიხვდა, რომ მეფე არ მოეშვებოდა და გადაწყვიტა გული მოეფხანა: „ჩემო მეფეო, ჭადრაკის ყოველ უჯრაზე (ერთიდან სამოცდაოთხის ჩათვლით) დადეთ ორჯერ მეტი ხორბლის მარცვალი, ვიდრე წინა უჯრაზე და ხორბლის მთლიანი რაოდენობა მაჩუქეთ, ამით დიდად მადლობელი დაგრჩებითო“.

მეფემ შეურაცხყოფილად იგრძნო თავი და თავის ვებირებს მიმართა გაბრაზებით – მიუგდეთ ერთი ტომარა ხორბალი და გააცილეთ, აღარ მსურს მისი ნახვაო.

სამი-ოთხი დღის შემდეგ მოიკითხა მეფემ ჭადრაკის გამომგონებელი – რაქნით, ხომ გაისტუმრეთო. ცხვირდაშვებულმა ქვეშევრდომებმა მოახსენეს: ცუდადა გვაქვს საქმე, მეფევ ბატონო, ვერ ვასრულებთ თქვენს ბრძანებასო“

რატომო, იკითხა მეფემ.

მთელი ქვეყნის ერთი წლის მოსავალი არ ჰყოფნის რომ გავისტუმროთ ჭადრაკის გამომგონებელი და შევასრულოთ თქვენი ნებაო!!!

საქართველოში ჭადრაკი, სპორტის სხვა სახეობების პარალელურად იკიდებდა ფეხს და ვითარდებოდა. რაც შეეხება ქალთა ჭადრაკს, მან აქტიურად დაიწყო დამკვიდრება ქვეყანაში 1927 წლიდან, როდესაც ჩატარდა თბილისის პირველი ჩემპიონატი, ხოლო 1935 წელს – საქართველოს ჩემპიონატი.

ქართველი ქალები მუდამ ეგროფნენ ჭადრაკს, მის სიბრძნეს, – ბრძანებს თენგიზ გიორგაძე („თორმეტთა ტურნირი სოხუმში“, 1965 წ.) და განაგრძობს, – შორეულ წარსულში ყოფილან ძლიერი მოჭადრაკები, მაგრამ ეამთააღმნერებს არ შემოუნახავთ მათი ვინაობა. დაახლოებით ასიოდე წლის წინანდელი ცნობებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასახელოთ იმ დროისთვის კარგ მოჭადრაკებად მიჩნეული: ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულები ნინო და ეკატერინე (სასიქადულო ქართველი მოჭადრაკის ანდრია დადიანის დედა), ასევე რაჭა-ლეჩხუმიდან ფოფინე ჩიქოვანი და სხვა.

საქართველოს პირველი ჩემპიონატის შემდეგ გამოჩნდნენ მოჭადრაკე ქალები: ელენე ბაუტაშვილი, ბარბარე ბარგარიანი, ლილი გელოვანი, ქსენია გოგიავა, რომლებმაც კარგი პრესტიჟი შეუქმნეს ქართულ ჭადრაკს.

ბუნებრივია, რომ ჭადრაკის განვითარებისა და მასშტაბის ზრდის ფალდამ გადაუარა შიდა ქართლის ცენტრს, ქალაქ გორსაც, სადაც თანდათან ჩამოყალიბდა საჭადრაკო ელიტა, რომელმაც გასული საუკუნის 60-70-იან წლებში მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს, რამაც განაპირობა ქ. გორში ჯერ 1968 წელს ვახტანგ ქარსელაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირის (მამაკაცები) და შემდეგ 1969 წელს კი ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის (ქალთა შორის) ჩატარება. სადლესასწაულო განწყობა სუფერდა იმ დღეებში შიდა ქართლში და მის პოლიტიკურ გეოგრაფიულ ცენტრში ქ. გორში. აღნიშნულ წლებში და დღეებში გორში ჭადრაკის სათამაშოდ ჩამოვიდნენ ყოფილი საბჭოთა კავშირისა და საერთაშორისო დიდოსტატები: ე. გელერი, ე. გუფელდი, მ. ტალი, ძმები ლეონ და კარენ გრიგორიანები, ი. პლატონოვი, ტ. ახმილოვსკაია, მ. რანიკუ, ნ. კონაპლიოვა, ტ. ბატულოვსკაია, ნ. გაფრინდაშვილი, ნ. ალექსანდრია და მრავალი სხვა.

აღსანიშნავია, რომ 1988 წელს გორში გაიხსნა ჭადრაკის დიდებული სახლი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ჭადრაკში ეროვნული ოსტატი, სპორტის დამსახურებული მოღვაწე გურამ მუკნიაშვილი, რომელიც დღესაც ახალგაზრდული ენერგიით ემსახურება ჭადრაკის პოპულარიზაციისა და განვითარების საშვილიშვილო საქმეს.

2018 წლის 14 იანვარს გორის ჭადრაკის სახლს 30 წელი შეუსრულდა.

გორში აღიმზიანებ და წარმატებულ მოჭადრაკებად ჩამოყალიბდნენ –

იოსებ კრიხელი (საერთაშორისო დიდოსტატი საჭადრაკო კომპოზიციაში, ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი), ციალა ქასოშვილი (საერთაშორისო ოსტატი), შალვა თოთლაძე (ეროვნული ოსტატი, სპორტის დამსახურებული ოსტატი), გურამ კუთარაშვილი (ოსტატობის კანდიდატი), შერგილ სუხიტაშვილი (საერთაშორისო ოსტატი საჭადრაკო კომპოზიციაში), დავით მაღალაშვილი (საერთაშორისო დიდოსტატი), ასევე უძლიერესი პირველთანრიგოსნები: ჯ. ინჯია, ა. შერმადინი, ვ. დადიანიძე, ი. ჯაფიაშვილი, ე. გოგლიძე, ს. ბელოუსი, ბ. გაქარიაძე, ი. ეგნაგაშვილი, რ. ხინჩიკაშვილი, ჯ. ჯანებაშვილი, ბ. კილასონია, მ. ონიაშვილი და სხვები.

წინამდებარე წიგნში მოკლედ მოგიყვებით იმ გორელი მოჭადრაკეების შესახებ, რომლებმაც თავიანთი საჭადრაკო მოღვაწეობა დაამშვენეს სიტყვით **ჩემპიონი**.

მანამდე კი მოვიყვანთ ამონარიდებს მსოფლიოში ცნობილი ადამიანების მოსაბრებებიდან ჭადრაკის ფენომენის შესახებ.

მსოფლიოს მეექვსე ჩემპიონი **მ. ბოგვინიკი:** „...მომიტევონ სპორტის სხვა სახეობის წარმომადგენლებმა – ჭადრაკს ვერაფერი შეედრება და არა მარტო იმიტომ, რომ „ჭადრაკი ბომაზე მეტად თამაშია, რომ ხელოვნება იყოს და ბომაზე მეტად ხელოვნება, რომ თამაში იყოს“.

ჭადრაკის თამაში თავისი შემოქმედებითი ჰორიზონტებით, თავისი ესთეტიკური თავისებურებებით, თავისი ფსიქოლოგიური სიღრმით ბევრად მაღლა დგას სპორტის სხვა სახეობებზე. ჭადრაკი ადამიანისაგან მოითხოვს დიდ ფიტკურ და ფსიქოლოგიურ ძალას და მიაქვს კიდევ. მაგრა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის მიაქვს ერთი წლის სიცოცხლე...“

ყურადსალებია ჭადრაკში მსოფლიოს პირველი ჩემპიონის, **ვილჰელმ სტეინიცის** მოსაბრება: „...ჭადრაკი სუსტი ნებისყოფის ადამიანებისათვის არ არის შექმნილი. ჭადრაკი მთლიანად მოითხოვს ადამიანს...“

ილია ვეკუა (აკადემიკოსი): „...მაღლორთოვანებენ ადამიანები, რომლებიც ღრმად ერკვევიან ჭადრაკის თამაშში...“

გიორგი ნიკოლაძე: „...მოჭადრაკეს, როგორც გეომეტრს, სივრცითი აზროვნების უნარი სჭირდება. ჭადრაკს ბევრი საერთო აქვს მათემატიკასთან, მაგრამ მხოლოდ ლოგიკის სფეროში...“

დაბოლოს, ყოველგვარი სიძნელეების მიუხედავად, ჭადრაკის თამაში გორში თანდათან გახდა მიმზიდველი და პოპულარული. შედეგად კი მოვიმკეთ რამდენიმე საერთაშორისო დონის ტურნირი და დიდოსტატების, ოსტატებისა და ოსტატობის კანდიდატების მთელი პლეადა, რომელიც, იმედია, მომავალშიც იტყვის თავის სათქმელს.

ციალა ქასოშვილი

დაბ. 1963 წ. 1 სექტემბერი, ქ. გორი.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო გორის ეკონომიკურ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1988 წელს. მთელი ამ წლების განმავლობაში იყო გულდასმით ჩატვირტებდა ჭადრაკის ხელოვნებას, იმდიდრებდა თეორიულ ცოდნას, იღებდა პრაქტიკულ გამოცდილებას ხშირად მონაწილეობდა რა ქალაქის თუ ქვეყნის თითქმის ყველა საჭადრაკო ღონისძიებაში.

დაქინებულმა სწრაფვამ და დაუდალავმა მრომა მალე გამოიიდო სასურველი შედეგი და ციალა ქასოშ-



პორტფეგალია. ქ. პორტო. ევროპის
ჩემპიონატე. 2014 წ.



მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი
ნ. გაფრინდაშვილთან ერთად.

ვილი იქცა ქართული საჭადრაკო ცხოვრების მნიშვნელოვან „ფიგურად“.

ციალა ქასოშვილი გახლავთ საერთაშორისო ოსტატი; საქართველოს სამგბის ჩემპიონი ქალთა მორის. იყო არის ასევე საქართველოს ხუთგზის და ევროპის ორგზის ჩემპიონი სენიორების კატეგორიაში და ორჯერ ვერცხლის პრიზიორი.



იოსებ კრიხელი (1931-1988)

XX საუკუნის ერთ-ერთი თვალსაჩინო საჭადრაკო კომპოზიტორი, საერთაშორისო დიდოსტატი, ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი მრავალსვლიანი ამოცანების სფეროში.

წარჩინებით დაამთავრა როგორც გორის საშუალო სკოლა, ისე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი.

დაახლოებით ოცდაათი წლის განმავლობაში ეწეოდა მეცნიერულ მუშაობას გორის კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტში („ნიავჭომაფპრომი“). ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. მრავალი სამეცნიერო სტატიისა და გამოგონების ავტორი.

მსოფლიოში ცნობილია მისი საჭადრაკო ამოცანები და ეტიუდები.



აკაკი ხუფენია

გაზეთი „გამარჯვება“ (ქ. გორი; № 77; 1970 წ.) იუწყება, რომ „...გორელების გუნდმა (დ. მაღალაშვილი, აკაკი ხუფენია და ა. კარელიძე) დამსახურებულად მოიპოვა საქართველოს 1970 წლის მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის ჩემპიონის სახელი. გუნდის წევრებმა აკაკი ხუფენიამ და დავით მაღალაშვილმა მოიპოვეს ჩემპიონის ოქროს მედლები...“



ტენისი ეპლოზა გამოშვება

ეკატერინე (ეკა) მუკნიაშვილი




ეკატერინე (ეკა) მუკნიაშვილმა 1964 წელს დაამთავრა ქ. გორის მე-4 საშუალო სკოლა, ხოლო 1969 წელს – გორის, ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სპეციალობით. სკოლაში და ინსტიტუტში სწავლის პერიოდში არაერთხელ გაუხარებია გულშემატკივარი სპორტული წარმატებებით.

ეკა მუკნიაშვილმა 42 წელი იმუშავა პედაგოგად გორის №6 საშუალო სკოლაში.

დაბ. 1946 წ. 18 ნოემბერი.

გორის ქალ ტანმოვარჯიშეთა შორის ეკა მუკნიაშვილი არის პირველი ქალი ოსტატი. ეს მაღალი წოდება მას მიენიჭა 1963 წელს ქ. ვოლგოგრადში, მაშინდელი საბჭოთა კავშირის პირველობაზე მიღწეული შედეგებისათვის სპორტულ ტანვარჯიშში. ეკა გახლდათ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ორქელზე ვარჯიშში მოსწავლე გოგონათა შორის.

დიდ სპორტულ ორბიტაზე ეკას გასვლის მთავარი მჭედელი და ორგანიზაციორი გახლდათ საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გურამ კოშაძე.



მწვრთნელ გურამ კოშაძესთან ერთად

გიორგი ხოსრუაშვილი



დაბ. 2010 წ. 22 თებერვალი.
საქართველოს ჩემპიონატების
პრიზიორი და ჩემპიონი (2017 წ.).

აჭარის ავტონომიური რესპუბ-
ლიკის ჩემპიონი.

ვარჯიში დაიწყო სპორტუ-
ლი ფანვარჯიშის წრეში 5 წლის
ასაკიდან. აღმოაჩნდა რა სივრცე-
ში სწრაფი ორიენტაციის უნარი,
იგი მწვრთნელებმა გადაიყვანეს
ბატუტზე ხტომების წრეში, სადაც
მან სწრაფად აითვისა ასაკის შე-

საბამისი თანრიგები და სულ მალე გულშემატკივრები გაახარა არაერთი
წარმატებით.

გიორგი არის გორის მუნიციპალიტეტის სოფ. სკრის საჯარო სკოლის მეო-
რე კლასის წარმატებული მოსწავლე.


ამონარიდი პედაგოგის (ლ. გოგინაშვილი) დახასიათებიდან: „...არის კეთი-
ლი და მოწესრიგებული. გააჩნია დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა. კარგი
ურთიერთობები აქვს როგორც თანატოლებთან, ისე პედაგოგებთან; კარგად
ეხერხება ამრის ჩამოყალიბება; ყოველთვის იცავს ქცევის წესებს“.

გიორგის დედა ქალბაგონი თა-
მუნა კმაყოფილია პატარა ჩემპიო-
ნის სწავლის ხარისხითაც და მისი
სპორტული მიღწევებითაც. საუ-
ბარში კი იმასაც აღნიშნავს, რომ
„პატარა გიორგის ძალიან უყვარს
და ეხერხება კიდეც მშობლების
დახმარება საოჯახო საქმიანობა-
ში. გამოირჩევა პრინციპულობით
და ხასიათის სიმტკიცით. უყვარს
ფეხბურთში ვარჯიში და თამაში



(მწვრთნელი ჯ. კურტანიძე), თუმცა ბოლო დროს დაინტერესდა ჭიდაობით და თავი მიმაყვანინა ჭიდაობის „წრეში“, – ღიმილით დაამთავრა საუბარი გიორგის დედამ.

გიორგის მწვრთნელი შალვა გაგუა: „...იგი თავისი ასაკის სპორტსმენებს შორის ბევრჯერ გახდა საქართველოს პირველობის პრიზიორი და ბოლოს ჩე-მპიონიც. დღესაც აქტიურად განაგრძობს ბატუტბე ხტომებში ვარჯიშს და დიდი იმედი მაქვს, რომ სულ მალე მიაღწევს ახალ წარმატებებს“.



„...გუშინ დედას დავპირდი –
დავუბერტყო ხალები,
სახლის დალაგებაშიც
ცოტას წავეხმარები.

შეშას მოვამარაგებ,
წყალს დავუსხამ ყვავილებს,
ამის მერე, ბავშვებო,
სათამაშოდ წავიდეთ.

ଓଟ୍ଟମାର୍ଗ




გვანცა ხინჩეგაშვილი



გვანცა და ლადო (ვლადიმერ) ხინჩეგაშვილები

ცურვაში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის გამარჯვებული და პრიზიორი.



ამონარიდი გამეთიდან „ლელო“ (28.05.2009): „ფიზიკურად ძალიან სუსტი ვიყავი და მხოლოდ ამის გამო მიმიყვანა დედამ საცურაო აუზბე. მწვრთნელმა კობა ბუხრიკიძემ ჩემში პერსპექტივა დაინახა, ამიტომ დედას სთხოვა, რომ მე არ დამენებებინა თავი აუზისათვის და ცურვას გავყოლოდი“, – გვეუბნება გვანცა.



ლირიკული გადახვევა

მედალ-სიგელებს ჰქოცნიდა,
ღმერთი მაღალი ახსენა...
წყლის ბილიკები მოსწყინდა,
ახლა ცაში სურს აფრენა.

გიორგი ბუხრიკიძე

საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი. ბევრი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორი. გორში სპორტის საცურაო სახეობების ერთადერთი სპორტის ოსტატი თავისუფალი ყაიდით ცურვაში.

გამორჩეული საუკეთუსო ტექნიკით და ფიზიკური კონდიციებით.



ნინო ბუხრიკიძე

საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი. გამორჩეული განსაკუთრებული სპორტული ჟინით და საოცარი მომხიბვლელობით.

ცურვის ყველა სფილი ერთნაირად საინფერენსოა მისთვის.

დიანა (დიკო) ერისთავი

დაბ. 1989 წლის 17 ნოემბერი.

საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი. ერთნაირი წარმატებით ფლობდა ცურვის ყველა ყაიდას. სასიამოვნო მოსაუბრე და პუნქტუალური, როცა საქმე ეხებოდა სპორტულ ვარჯიშებს და მაღალი დონის პასუხისმგებლობას.


დიანას საწყის ეტაპზე ავარჯიშებდა და წვრთნიდა საკმაოდ ენერგიული და კვალიფიციური აღმზრდელი ნინო ნასყიდაშვილი.



დიანას შემდგომი დაოსტატების და მისი სრულყოფილი ტექნიკური მომზადების ეტაპი განახორციელა ჰამლეტ (აბე) მაყაშვილმა.

სურათმე: ნინო ნასყიდაშვილი და ჰამლეტ მაყაშვილი

ეპლატსნობა



პავლე გაქარიაძე (გუდაძე)



პავლე გაქარიაძე (მარჯვნიდან მეორე)



დაბ. 1937 წ. 18 თებერვალი.

საქართველოს სპორტსაბოგადოება „სპარტაკის“ ჩემპიონი (1955 წ. ბათუმი) ამანათრბენში (4X200 მ).


აქციური საბოგადო მოღვაწე – უკრავდა, მღეროდა, ხატავდა, წერდა და ა.შ.

ძვირფასი
განძით ხელში

სალომე რიგიშვილი

დაბ. 1990 წ. 26 იანვარი.

2013 წელს ქ. გორის უნივერსიტეტის ტურიზმის სპეციალობის მეორე კურსის სტუდენტმა სალომე რიგიშვილმა, უმ-ელავათო ბრძოლებში მოიპოვა ევრო-



პის ჩემპიონის ტიტული (ქ. ბრაფისლავა) და შესაბამისად ოქროს მედალი ბადროს ტყორცნაში.

სალომებ ბადრო ტყორცნა 58 მეტრსა და 90 სანტიმეტრზე, რითაც გააუმჯობესა ლეგენდარული ქართველი სპორტსმენის, ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ნინო დუმბაძის რეკორდი.

გიორგი მუჯარიძე

დაიბადა გორში 1998 წლის 22 მარტს. დაამთავრა გორის № 11 საჯარო სკოლა. ამჟამად არის გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი.

სპორტული ცხოვრების საწყის ეტაპზე ძალები მოსინჯა კალათბურთში, მაგრამ მაღლე მიაკითხა მძლეოსნობის სფეროს.



გიორგი არის საქართველოს მრავალგზის, ასევე აზერბაიჯანის, ბელორუსის და ისრაელის ჩემპიონი ბირთვის კვრაში. გიორგის ეკუთვნის სამივე წონის (5, 6 და 7 კგ) ბირთვის კვრაში სარეკორდო მიღწევები.

გიორგი მუჯარიძე გახდავთ ეპოპის მცირე ქვეყნების 2018 წლის ევროპის ჩემპიონი ბირთვის კვრაში, შედეგით 19 მეტრი და 52 სანტიმეტრი. გიორგი არის საერთაშორისო სპორტის ოსტატი (მწვრთნელი დავით მანთიძე).



ოთარ დიდებულიძე



საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს მოფარიკავეთა ნაკრები გუნდის მრავალგზის უფროსი მწვრთნელი (სურათზე მარცხნივ).

ოთარ დიდებულიძემ 1939 წელს საქართველოში პირველმა მიიღო ფარიკაობაში საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატის წოდება. იყო ამიერკავკასიის სამგბის ჩემპიონი და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ე.წ. სამჭიდში.

ოთარ დიდებულიძე მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში. მიღებული აქვს საბრძოლო ორდენები და მედლები. იგი, პოლონეთის განთავისუფლებისთვის ბრძოლებში გამოჩენილი გმირობისათვის არჩეულ იქნა ქ. ლობის საპატიო მოქალაქედ.

„ფარიკაობის გარდა იგი სრულყოფილად იყო დაუფლებული ტანკარჯიშს, მძლეოსნობას, ჭიდაობას, ცურვას“ („გორელები“, თბ. 1999 წ. აივაზიშვილი, ალავერდაშვილი).



ჩემი
აცვრის

ნებისმიერ განმარტებით ლექსიკონში ამოიკითხავთ, რომ სიტყვა „მწვრთნელი“ არის პიროვნება, რომელიც ვიდაცას ასწავლის რაღაცას.

სამწუხაროდ, მავანნი შემოიფარგლენენ მხოლოდ ამგვარი განმარტებით. ვფიქრობ, უფრო მეტის დაწერა და განმარტებაა საჭირო, რათა კარგად გავაცნობიეროთ, თუ რას ნიშნავს სიტყვა მწვრთნელი ფართო გაგებით.

ქიმიისა თუ მათემატიკის მასწავლებელიც ასწავლის ვიდაცას რაღაცას, მაგრამ, რაცომდაც, ხალხი მათ არ უწოდებს მწვრთნელებს...

და პირიქითაც, მწვრთნელებს იშვიათად უწოდებენ მასწავლებელს, არადა, იმდენ რამეს ასწავლიან სხვას, რომ, ალბათ, დღევანდელი საჯარო სკოლის ათი მასწავლებლის ამაგსაც გადააჭარბებს.

ახლა მოკლედ გავიხსენოთ თუ რა სიტყვებს იყენებენ ქართველები, როცა ეხებიან პიროვნებას, რომელიც ვიდაცას ასწავლის რაღაცას:

პედაგოგი, მასწავლებელი, ოსტატი, აღმზრდელი, დამრიგებელი, „ტრენერი“, მწვრთნელი და ა.შ.

ჩემი სუბიექტური აზრით, სპორტის ნებისმიერი სახეობის მწვრთნელი იმსახურებს ყველა ბემოთჩამოთვლილ სახელს, რამეთუ მწვრთნელი გახლავთ უნიკალური და მრავალმხრივი შესაძლებლობების მქონე პიროვნება, ვიტყოდი – ფენომენი, რომელიც ჭეშმარიტად იმსახურებს უფრო მეტ აღიარებას, ვიდრე ისეთს, როგორსაც, სამწუხაროდ, შეგვაჩვიეს. ნებისმიერი მწვრთნელი პედაგოგიც არის, აღმზრდელიც, მასწავლებელიც, დამრიგებელიც, ოსტატიც და ძალიან ხშირად მშობლის, მეგობრის და დამშვიდების მატარებელიც კი.

ჩემპიონებად არ იბადებიან. ჩემპიონებად ყალიბდებიან მრავალწლიანი დაუდალავი შრომითა და წვრთნით, უამრავი წინააღმდეგობის გადალახვით, ფიზიკური თუ გონიერივი გარჯის მაქსიმალური გამოყენებით, ფსიქოლოგიური წრთობით და ბოგიერთი ახალი ნიშან-თვისების შეძენით, დროებითი წარუმატებლობის უარყოფითი ბეგავლენის მინიმუმამდე დაყვანის მცდელობით, რაინდული წესების გათავისებით, ჰუმანური პრინციპებით და ხელმძღვანელობით, თავმდაბლობით და სიკეთის კეთების მუდმივი ნდომით. ყოველივე ამას კი ხელმძღვანელობს კაცი (ქალი), რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ მწვრთნელს.

სპორტის ნებისმიერი სახეობის ერთგული და პროფესიონალი მწვრთნელის ხვედრია: აღმოაჩინოს თავის მოწაფეში (აღსაზრდელში) ბუნებით ბოძებული ფარული შესაძლებლობები და განავითაროს მაქსიმალურად, რათა მიღწეულ იქნას სხვადასხვა რანგის საჩემპიონე დონე. მწვრთნელები ეძებენ და პოულობენ სპორტმენებში ისეთ „რამეს“, რაც, როგორც იტყვიან, ბედაპირზე არ დევს და

რაც ხშირად არც მშობლებმა იციან. ფიზიკური გაკაუების გარდა, მწვრთნელები ფსიქოლოგიურ ნიუანსების გამოყენებაზეც ამახვილებენ ყურადღებას და ყოველი პაექტობისათვის ამზადებენ სპორტსმენს ინდივიდუალურად. მწვრთნელი ითვალისწინებს და აკონტროლებს სპორტსმენის ყოველდღიური ცხოვრების წესს, მის გენეტიკურ ხასიათს, თანდაყოლილ თუ შეძენილ ნიშან-თვისებებს, რომ აღარაფერი ვთქვათ, ფიზიკურ კონდიციებზე. მწვრთნელებისთვის ჩვეულებრივი რამ გახლავთ: ოფლის ღვრა, ფიზიკური გადაღლა, გონიერივი გადატვრითვა, უძილო დამეები, წარუმატებლობით გამოწვეული გულისტკივილი, სიხარულის ცრემლები და აღტაცება აღსაბრდელის წარმატებისას და ა.შ.


მწვრთნელების დამსახურება გახლავთ ის, როდესაც მსოფლიოს სხვადასხვა სტადიონებზე, თუ დახურულ დარბაზებში ჟღერს საქართველოს ეროვნული ჰიმნი და ფრიალებს ეროვნული დროშა. დასანანია, რომ ასეთ მომენტებში მხოლოდ გამარჯვებული სპორტსმენი ჩანს ტელევიზიის ეკრანებზე და მწვრთნელი კი სადღაც მოშორებით განიცდის ყოველივეს და საბოგადოებისგან ფარულად სცვივა სიხარულის ცრემლები. ჩემთვის ძნელია გავარკვიო, თუ უპირველესად ვისი დამსახურება გახლავთ წარმატება – სპორტსმენის თუ მწვრთნელის, თუ ორიგესი თანაბრად?!

იქნებ დადგა დრო, ვიფიქროთ იმაზე, რომ ჩემპიონების აღმზრდელ მწვრთნელებისთვისაც შემოვიდოთ მსოფლიო, ევროპის, ქვეყნის თუ ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი მწვრთნელის ტიტული?! (ევროპის ჩემპიონების ყველაზე მეტი რაოდენობით მომზადებისთვის – ევროპის ჩემპიონი მწვრთნელი, მსოფლიოს ჩემპიონების ყველაზე მეტი რაოდენობის მომზადებისთვის – მსოფლიოს ჩემპიონი მწვრთნელი და ა.შ.). მწვრთნელების შრომის მატერიალური ანაზღაურების გაზრდა და მედიასაშუალებებში მათი უფრო ხშირად და ფართო წარმოჩენაც არ იქნებოდა ურიგო სტილი.

დაბოლოს, მწვრთნელების უდიდეს დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ ისინი დიდ დროს უთმობენ სპორტსმენებში ისეთ აუცილებელი და საბოგადოებისათვის ისეთი სასარგებლო და ფართომასშტაბიანი სარგებლობის მომგანი ნიშან-თვისებების ჩამოყალიბებას, როგორიცაა: შრომის სიყვარული, პასუხისმგებლობა, დროის ფასი, კეთილშობილება, ზრდილობა, თანადგომის დაუთკებელი სურვილი, მეგობრობა, რაინდული სულისკვეთება, წარსულის პატივისცემა, პატრიოტიზმი, ურთიერთპატივისცემა და ა.შ.

წინამდებარე მცირემოცულობის წიგნში მწვრთნელებისადმი პატივისცემის ნიშნად, მოგვყავს მათი მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები ფოფოსურათებით, რაც ერთხელ კიდევ იქნება იმის გამომხატველი, რომ ყველა სპორტული წარმატების სათავეები (საწყისები) მოიაზრება მწვრთნელების პიროვნებაში და მათი პროფესიონალიზმის დონეში.

გიორგი კარელიძე



დაბ. 1930 წ. ქ. გორი.

ქ. გორის რკინიგზის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო დამზადების კანტორაში, პარალელურად კი სისტემატურად ვარჯიშობდა მისთვის საოცნებო სპორტის სახეობაში – კრიკეტი. მისი პირველი მწვრთნელი იყო უფროსი ძმა ვიქტორი.

15 წლის ასაკში (1945 წ.) იგი გახდა ქ. გორის ჩემპიონი. შემდეგ იყო სავალდებულო სამხედრო სამსახური მოლდავეთში და იქ მიღწეული წარმატებები: დივიზიის ჩემპიონობა და მეორე თანარიგი, გარნიზონის ჩემპიონობა (1952), მოლდავეთის ჩემპიონობა და პირველი თანარიგი (1953), სპორტის ოსტატის წოდება (1954 წ.). ამავე წელს გახდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის პრიზიორი.

სამხედრო სამსახურიდან დაბრუნებულმა გიორგიმ მუშაობა დაიწყო გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინაცის კრიკის სექციაში მწვრთნელად. შემდეგ იყო გორის სპორტული სკოლა, მრავალი წლის მუხლმოუხრელი მრომა და გიორგის აღზრდილი წარმატებული მოკრივების მთელი პლეადა: ე. მდინარაძე, ჯ. ბეჟანიშვილი, ა. მინასიანი, ა. შოშიაშვილი, რ. არამიანი, გ. სხირფლაძე, გ. ავაზნელი, გ. შოშიაშვილი, ი. რამაბაშვილი, ნ. ანდლულაძე, გ. კანდელაკი, რ. ბებნაძე და სხვები.

გ. კარელიძის აღზრდილი ავთ. შოშიაშვილი აღნიშნავს: „...გიორგი კარელიძე რომ არ მოსულიყო მწვრთნელად, დღეს გორის კრიკის ასეთი აღიარება და წარმატებები არ ექნებოდა“.

გ. კარელიძე გიორგი კანდელაკბე (მომავალ მსოფლიო ჩემპიონბე) იძახდა – „კოჭებში ეფყობა ამ ბიჭს, რომ იგი დიდი მოკრივე გამოვათ“.

გიორგი კარელიძე იყო საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი, გორის კრიკის ფუძემდებელი.

გურამ პაპიგაშვილი

დაბ. 1934 წლის 15 აპრილს გორის რაიონის სოფ. კირბალში.

ადრეული ასაკიდანვე იბიდავდა ქართული ჭიდაობა და მისი ტექნიკური ილეთების სიმრავლე და უნიკალურობა, რასაც მოგვიანებით ფართოდ გამოიყენებს სპორტის ისეთ სახეობებში, როგორიცაა ძიუდო და სამხო.

ბატონი გურამი ითვლება საქართველოში ძიუდოს ფუძემდებლად. მთელი თავისი შესაძლებლობები და უნარი მიუძღვნა საშვილიშვილთ საქმეს და შორს გაუთქვა სახელი ქართულ სპორტს, რის დასტურიც გახლავთ გურამის მიერ აღმზრდილი და საყოველთაოდ ცნობილი სპორტსმენები (ევროპის, მსოფლიოს, ოლიმპიური თამაშების და საქართველოს ჩემპიონები): შოთა ჩოჩიშვილი, თემურ ხუბულური, ანზორ ქიბროწაშვილი, როინ მაღალთაძე, გიორგი თენაძე, ჯემალ მჭედლიშვილი და მრავალი სხვა.

დამსახურებული მწვრთნელი გურამ პაპიგაშვილი გახლავთ მრავალი ჯილდოს, სიგელის, დიპლომის მფლობელი და ღირსების ორდენის კავალერი.

„...ცხოვრებას ბრძოლას უწოდებს მუდმივს
ის, ვისაც ამაგს მადლით უხდიან,
ის, ვისაც დღემდე ნამუსის ქუდი
თავიდან ერთხელ არ მოუხდია.

შავბედო, დროსთან გაწყდა კავშირი,
რომ მოსრე სპარტა და ქტესიფონი,
მაგრამ, შავბედო, პაპიგაშვილი,
მჯერა ტატამზე დაგდებს იპონით“.

ჯ. ინჯია



მიხეილ (გივი) ბაუტაშვილი



დაბ. 1938 წ. 5 თებერვალი.

XX საუკუნის მეორე ნახევრის ერთ-ერთი წარმატებული სპორტული მოღვაწე, ფრიად ნაყოფიერი მწვრთნელი და ახალგაზრდა თაობის თვალსაჩინო აღმზრდელი.

საბჭოთა კავშირისა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. ღირსების ორდენის კავალერი.


1976-1980 წლებში გივი ბაუტაშვილი იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის მიუღობისგთა ნაკრები გუნდის ერთ-ერთი მწვრთნელი. მისი აღმზრდები არიან თლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები: შოთა ხაბარელი, თემურ ხუბულური, იოსებ ახალბეგაშვილი, აკაკი ხანიშვილი და მრავალი სხვა.

მერაბ მუგაშვილი


დაბ. 1957 წ.

სახეობა — თავისუფალი ჭიდაობა.

რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი; ღირსების მედლის კავალერი.



ნუგბარ სხირელი (სხიერელი)



თანამედროვეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მწვრთნელი, ბაფონი ნუგბარ სხირელი დაიბადა 1945 წლის 13 ნოემბერს.

1969 წელს დაამთავრა ქ. გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი, ხოლო 1979 წელს თბილისის ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტიტუტის მას ქართული სპორტის (ჭიდაობის) განვითარებაში:

გორის საპატიო მოქალაქე, სსრკ-ს სპორტის ოსტატი, სპორტის რაინდი, სპორტის დამსახურებული მუშაკი, ღირსების მედლისა და ორდენის კავალერი, ყაბახეთის დამსახურებული მწვრთნელი (2001 წ.), სსრკ-ს დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი და ა.შ.

გამობრძილი ჰყავს რამდენიმე ათეული ჩემპიონი სხვადასხვა რანგის, დონის და მაშტაბის.

ბარაქალა თქვენს გარჯას, ბაფონო ნუგბარ!

ამინარიდი ჯ. ინჯიას ლექსიდან:

„...ფალავნებს თავზე დაჰგურგურებ,
გიყვარს გორი და
ისიც გრძნობს, შენში კაცთმოყვარე
გული რომ ღელავს.
შენს გასაცნობად არა კმარა
ცქერა შორიდან,
თუმცა მაგ სულში შემოღწევა
არ ძალუძს ყველას“.

ავთანდილ შოშიაშვილი



დაბ. 1958 წ. 19 დეკემბერი.

სპორტსმენი, მწვრთნელი, საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, რაინდი, კეთილმოსურნე გამორჩეული პატიოსნებით, სამართლიანობით, ერთგულებით და პასუხისმგებლობის მაღალი დონით.

ასეთი ადამიანები ლეგენდებად რჩებიან ისტორიაში.

ახლობელი ნათესავები პატრონობდნენ ნაადრევ ბავშვობაში და ობლებულს. პატარაობიდანვე გამოამჯდავნა შეუპოვარი ხასიათი და მიზანსწრაფულობა. სწავლობდა ჯერ გორის რაიონის სოფელ ახალხიბას რვაწლიან სკოლაში, შემდეგ სოფელ ტინისხიდის საშუალო სკოლაში და

სოფელ ხიდისთავის პროფექნიკურ სასწავლებელში. დაამთავრა გორის ჟედაგოვიური ინსტიტუტი და შეუდგა შრომით საქმიანობას 1981 წ. წოჭელ სათემოს ფიზალბრდის მასწავლებლად და გორის სპორტულ სკოლაში კრივის მწვრთნელად. 1990 წლიდან ავთანდილ შოშიაშვილი სათავეში უდგება გორში კრივის განვითარებას და შემდგომ მაღალ საფეხურებზე აყვანის ისტორიულ მოვლენას. როგორც მწვრთნელს გამობრდილი ჰყავს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი (გ. კანდელაკი), მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორი ახალგაბრდებში ი. ტლაშაძე და უამრავი საქართველოს ჩემპიონი და პრიზიორი, ასევე საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულები და პრიზიორები.

ავთანდილ შოშიაშვილი არის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ღირსების ორდენის კავალერი, რესპუბლიკური და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, 1993-1997 წლებში საქართველოს საუკეთესო მწვრთნელი, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაურიტარი დეპუტატი. ავთანდილ

შოშიაშვილს მიუძღვის ლომის წილი მასში, რომ 1990 წელს გორის კრიკის სკოლა აღიარეს საუკეთესოდ ყოფილ საბჭოთა კავშირში, მას შემდეგ, რაც ავთანდილის სამა აღმდეგილმა (გიორგი კანდელაკი, დავით ჯანაშვილი, დავით ავაზნელი) მოიპოვა სხვადასხვა სინჯის მედლები საკავშირო პირველობაზე.

ავთანდილ შოშიაშვილს, როგორც სპორტსმენს (მოკრივეს) მიღებული აქვს მრავალი მედალი, პრიზი, დიპლომი, სიგელი, წოდება და ა.შ.

არასდროს ივიწყებს ავთანდილ შოშიაშვილი საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს კრიკიტი გიორგი კარელიძეს; იგი მოიხსენიებს მას როგორც მეგობარს და როგორც კაცს, რომელმაც ის კრიკის აჩიარა.

ავთანდილ შოშიაშვილი დღესაც ჩვეული შემართებით ხელმძღვანელობს კრიკის განვითარებას და ახალგაზრდობის წრთობას მისივე სახელობის გორის კრიკის სკოლაში.

ერთი სტროფი აწერდაცვლილი გორელი პოეტის ვაჟა შიუკაშვილის ლექსიდან:

„...თუმც სათნოებით
ამოთავთავდი
და მადლისათვის როცა
გონი გრჯის,
დვაწლი მაგ სულში გალობს,
ავთანდილ
და ანგელოზი გლოცავს
გორიჯვრის“.



ბადრი ყულუმბეგაშვილი

დაბ. 1968 წ. 2 აპრილი.

კრივში ვარჯიში დაიწყო გორის სპორტსკოლაში 1982 წელს მწვრთნელის ავთანდილ შოშიაშვილის ხელმძღვანელობით.

საქართველოს ორგზის ჩემპიონი ჭაბუკებს შორის. სხვადასხვა წლებში იყო სპორტსაზოგადოებების („განთიადი“, „კოლმეურნე“) ჩემპიონი და ასევე აზერბაიჯანის საერთაშორისო ტურნირის პრიზიორი.

1988 წლიდან არის ქ. გორის ავთანდილ შოშიაშვილის სახელობის კრივის სკოლის მთავარი მწვრთნელი. აღმრღვევი ჰყავს ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების პრიზიორები კადეტთა შორის (ვ. ტერაშვილი, რ. ჯავახიშვილი, გ. გიორგაშვილი) და საქართველოს ათეულობით ჩემპიონი და პრიზიორი.



იოსებ (კობა) ბუხრიკიძე




დაბ. 1959 წ. 28 იანვარი.

დაამთავრა გორის № 12 საშუალო სკოლა. არის სპორტის ოსტატი თავისუფალ ჭიდაობაში და თანრიგოსანი ცურვაში.

დამთავრებული აქვს გორის ეკონომიკური ინსტიტუტი. 2006 წელს დაამთავრა ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტი ფიზიკური კულტურისა და სპორტის სპეციალობით. ათეულობით წლებია, რაც მუშაობს გორის საცურაო აუზში. აღმრღვევი ჰყავს საქართველოს მრავალგზის ჩემპიონები ცურვაში.

ამჟამად მუშაობს საქართველოს თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში ცურვის ინსტრუქტორად.

ვაჟა ცაციაშვილი



დაბ. 1964 წ. 24 სექტემბერი.

კრივში ვარჯიში დაიწყო გიორგი კარელიძის ხელმძღვანელობით 1979 წლიდან.

1980-1986 წლებში: სავალდებულო სამხედრო სამსახურის წლებში გახდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ჩემპიონატის გამარჯვებული (60 კგ); საქართველოს სპარტაკიადების ფინალისტი ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს შორის; გერმანიის საერთაშორისო ტურნირის (ქ. ჰალე) პრიზიორი; საკავშირო ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორი.

1986 წელს გახდა საქართველოს ჩემპიონი.

ამავე წელს მიანიჭეს სპორტის ოსტატის წოდება. მინიჭებული აქვს საქართველოს ეროვნული კატეგორიის მსაჯის წოდება და შესაბამისი სერტიფიკატი.

ამჟამად მუშაობს მწვრთნელად ქ. გორის კრივის სკოლაში.

შალვა გაგუა

დაბ. 1971 აგვისტო.

1976 წელს დაამთავრა გორის №3 საშუალო სკოლა.

მიღებული აქვს უმაღლესი განათლება, როგორც ფიზალბრდის პროფილით, ისე სპორტისა და კულტურის ჟურნალისტის სპეციალობით.

1980-2012 წლებში შალვა გაგუამ ფიზალბრდის მასწავლებლად იმუშავა ბოშურის, ვარიანის, ფინისხიდის საჯარო სკოლებში, ასევე გორის რაიონის განათლების განყოფილებაში მეთოდისტ-ინსტრუქტორად. ოთხი წელი იმუშავა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზალბრდის ლექტორად.

ამჟამად შალვა გაგუა თავის სამწვრთნელო მოღვაწეობას ეწევა გორის სპორტულ სკოლაში ტანვარჯიშის განხრით.



ნიკოლოზ ანდლულაძე



დაბ. 1960 წ. 29 მარტი.

1977 წელს დაამთავრა გორის რაიონის სოფ. ხიდისთავის საშუალო სკოლა. სწავლის პერიოდიდან აინტერესებდა კრიკეტი და მიიყვანეს უკვე სახელოვან მოკრივე-მწვრთნელთან გიორგი კარელიძესთან (1971 წ.). გამოცდილი მწვრთნელის წყალობით მაღე მიაღწია პირველ წარმატებებს. 1979 წლამდე 60 კგ. წონით კატეგორიაში იყო

საქართველოს ჩემპიონი ორჯერ (1976-1977), იყო II-III პრიზიორი თბილისის პირველობაზე და ლესელიძის სახელობის გორის ტურნირზე (მობრდილებში). იყო საქართველოს მოკრივეთა ნაკრები გუნდის წევრი როგორც მოსწავლეთა, ისე ახლგამრდებს მორის. 1978 წელს ჩაირიცხა საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტში. 1979 წელს ნიკოლოზ ანდლულაძემ პირველი ადგილი დაიკავა თბილისში ჩატარებულ უმაღლეს სასწავლებელთა უნივერსიადაზე (63,5 კგ.).

1982 წელს დაამთავრა ასევე გორის პედაგოგიური ინსტიტუტი და აქტიურად შეუდგა შრომით მოღვაწეობას. მუშაობდა სოფ. ბნავისში და შემდეგ სოფელ ატენში ფიზალბრდის მასწავლებლად. მაღევე იწყებს მუშაობას გორის რაიონის სპორტულ სკოლაში კრივის მასწავლებლად.

1990 წლიდან ნიკოლოზ ანდლულაძე მოღვაწეობას აგრძელებს პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზალბრდის კათედრაზე ჯერ მასწავლებლად, მერე კათედრის უფროს მასწავლებლად. უნდა აღინიშნოს, რომ ნ. ანდლულაძე გახლდათ მომავალში ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონის გ. კანდელაკის მეორე მწვრთნელი.

ნიკოლოზ ანდლულაძე არის ეროვნული კატეგორიის მსაჯი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ღირსების მედლის კავალერი. მისი აღმდილი მოკრივე ბექარ კაპანაძე 2013 წელს მოსკოვში გახდა მსოფლიოს ჩემპიონი (81 კგ.) უნიკალურ ორთაბრძოლებში.

ნიკოლოზ ანდლულაძის ღვაწლის შედეგია, რომ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოკრივეთა ნაკრებმა გუნდმა ოთხჯერ დაიკავა გუნდური პირველი ადგილი უნივერსიადებზე.

ნიკოლოზ ანდლულაძე სამწვრთნელო მოღვაწეობას ეწევა ასევე გორის, ავთანდილ შოშიაშვილის სახელობის კრივის სპორტულ სკოლაში.


გურამ კოშაძე

დაიბადა 1929 წელს ქ. გორში, მოსამსახურის ოჯახში. ბატონმა გურამმა დაამთავრა რა თბილის ფიზკულტურის ტექნიკუმი ტან-ვარჯიშის სპეციალობით – უკვე იყო სპორტის ოსტატობის კანდიდატი. სწავლა განაგრძო ნ. ბარათ-აშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკური აღმდეგის პროფილით. პარალელურად ეწ-ევა შრომით საქმიანობას გორის ბავშვთა და მობარდთა სპორტულ სკოლაში ტანვარჯიშის მასწავლებლად.

ამონარიდი წიგნიდან „გორელები“ (ი. აივაზაშვილი, გ. ალავერდაშვილი, 1999 წ.): „...თავისი კეთილსინდისიერი და ნაყოფიერი მუშაობის ორმოცი წლის განმავლობაში გურამ კოშაძემ რესპუბლიკას აღუბარდა მრავალი სახელოვანი სპორტსმენი, რომელთა შორის არიან: ყოფილი საბჭოთა კავშირის სპარტაკიადის პრიზიორი ეკატერინე მუკნიაშვილი (გორელ გოგონათა შორის პირველი სპორტის ოსტატი, რესპუბლიკის და ყოფილი საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი), თამაზ და ილია ქუჩუკაშვილები, რეზო ინდუაშვილი, ი. ჭილლაძე (ოსტატობის კანდიდატები), ვ. ჩოჩიშვილი, ვ. მთვარელიძე და სხვა.



გაქარია მირუაშვილი



დაიბადა 1968 წლის 12 აპრილს გორის რაიონის სოფელ ქვახვრელში. აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა და შემდგომი სწავლა განაგრძო საქართველოს სპორტისა და კულტურის აკადემიაში (ქ. თბილისი).

ბავშვობიდანვე გამოიჩინა ინტერესი კარატეს მიმართ და დაიწყო ვარჯიში (1983 წ.) მწვრთნელის გელა ფილაურის ხელმძღვანელობით. შემდგომ ეტაპზე მას ავარჯიშებდა ფრიდონ ბრეგვაძე. 1990 წელს, როდესაც საქართველოს კარატეს ფედერაცია გახდა კარატეს მსოფლიო ფედერაციის წევრი, 8. მირუაშვილს მიანიჭეს მთავარი ინსტრუქტორის ხარისხი და დანიშნეს შიდა ქართლის ფედოკან კარატე-დოს ცენტრის

თავმჯდომარედ (კლუბი „ორბი“). 1993-95 წლებში ხელმძღვანელობდა საქართველოს ფედოკან კარატე-დოს ცენტრს. მალე ბ. მირუაშვილი გაწევრიანდა ოკინავურ გოჯუ-რიუ კარატე-დო ცენტრში (კლუბი „ჩემპიონი“, სენსეი პაატა ჭელიძე, შემდგომში ლევან როგავა).

საქართველოს კარატეს ეროვნულ ფედერაციაში (სენსეი კახა ბასილია) მინიჭებული აქვს: ფედოკან კარატე-დოს სტილში I დანი; ოკინავურ გოჯუ-რიუს სტილში I დანი, ხოლო შოტოკან კარატე-დოს სტილში II დანი. დაჯილდოვბულია მრავალი დიპლომით და სიგელით, მათ შორის კარატეს პოპულარიზაციაში მიღწეული წარმატებებისათვის.

ამჟამად განაგრძობს მოღვაწეობას კლუბ „ჩემპიონის“ თავმჯდომარის რანგში.

ახლახანს საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაცია გახდა მსოფლიო ოლიმპიური კომიტეტის წევრი, რაც ახალ ამოცანებს და მიზნებს უსახავს კარატეს ფედერაციებს და ცალკეულ კლუბებს.

იმედი ვიქონიოთ, რომ კლუბი „ჩემპიონი“ გაქარია მირუაშვილის ხელმძღვანელობით ახალ-ახალ წარმატებებს მიაღწევს ახალგაბრდობის ფიზიკური და სულიერი დახვეწის საშვილიშვილო საქმეში.

გაქარია მირუაშვილს ჰყავს მეუღლე ანა სადადაშვილი და ორი ქალიშვილი – მარიამი და მართა.



ჰამლეტ მაყაშვილი

დაიბადა 1960 წ. 30 ოქტომბერს.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაურდო საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო ინსტიტუტში და დაეუფლა სპორტის ულამაზესი სახეობის, ცურვის ხელოვნებას. 1985 წლიდან (ქ. გორში საცურაო აუზის განების წელი) მუშაობდა აუზის რიგით მწვრთნელად, ხოლო 1988 წლიდან 2005 წლამდე იყი არის გორის მოცურავეთა ნაკრები გუნდის მთავარი მწვრთნელი.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ იმ პერიოდის სოციალურ-ეკომონიკურ-პოლიტიკური ვითარების დროს საკმაოდ ძნელი იყო საცურაო აუზის ნორმალური მუშაობის უზრუნველყოფა (სიცივე, უშუქობა, უწყლობა, ტექნიკური აღჭურვილობის სიმწირე და ა.შ.), მაგრამ ჰამლეტ მაყაშვილი, რომ იყყვიან, ხმალამოღებული იბრძოდა და იმაზე მეტსაც კი აკეთებდა, რაც მოეთხოვებოდა. ახლადფეხადგმულ საცურაო აუზს უამრავი რამ სჭირდებოდა და ბატონი ჰამლეტიც დღედაღამეს ასწორებდა. ქალაქში მისი ახლობლები ხუმრობდნენ ხოლმე – აუზისთვის უფრო მეტს აკეთებს, ვიდრე საკუთარი ეზო-კარისთვის...

დაუღალავმა და მიზანმიმართულმა მუშაობამ შედეგი გამოიღო, ჰამლეტისა და მისი კოლეგა მწვრთნელების თავგანწირული გარჯის წყალობით, სულ მალე, გორის საცურაო აუზმა „შვა“ ცურვაში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონები, მათ შორის გვანცა ხინჩევაშვილი, ნინო და გიორგი ბუხრიკიძეები, დიანა ერისთავი და სხვები.

აქვე აღვნიშნავთ, რომ 1999-2005 წლებში ჰამლეტ მაყაშვილი ეწეოდა პედაგოგურ მოღვაწეობას და გორისა და ცხინვალის ინსტიტუტებში ახალგაზრდობას ასწავლიდა ცურვის თეორიასა და პრაქტიკას.

ჰამლეტ მაყაშვილი სიამაყით იხსენებს მისი აღმზრდილის და გაწვრთნილის ბაკო არუნაშვილის სპორტულ მიღწევებს. კერძოდ იმას, რომ 2005-2006 წლებში მისმა მოწაფემ არაერთხელ დაისაკუთრა I-II ადგილები, დიპლომები და სიგელები ისეთ სპორტულ ასპარეზობებზე, როგორებიცაა: ქ. გორის დია პირველობა, „შემოღვიძის სტარტები“, არმის სპორტსმენთა სპარტაკიადა, ქ. ბაქოს საერთაშორისო ტურნირი და ა.შ.



ირბეგ ჯიოშვილი

დაბ. 1957 წ. 25 დეკემბერი.

სახეობა – თავისუფალი ჭიდაობა.

რესპუბლიკის დამსახურებული
მწვრთნელი.

მოღვაწეობს შოთა ჩოჩიშვილის
სახ. სპორტულ სკოლაში.

ღირსების მედლის კავალერი.



არკადი ბინჩიკაშვილი

დაბ. 1976 წ. 16 აგვისტო.

სახეობა – თავისუფალი ჭიდაობა.

საქართველოს დამსახურებული
მწვრთნელი.

ამჟამად მოღვაწეობს ნუგბარ სხ-
იორელის სახელობის ჭიდაობის სკო-
ლაში.

**განუზობრივი
მატიკა
დამსახურება
(მოწოდებულები)**

* * *

გორელ სპორტსმენთა მართლაც რომ ისტორიულ და უნიკალურ წარმატებებს ქმნიდნენ, ამზადებდნენ და ჭედავდნენ (დროის სხვადასხვა მონაკვეთებზე) სპორტული ფედერაციების და სხვა აღმინისტრაციულ-სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები (პრეზიდენტები, დირექტორები, გამგეები, უფროსები, მენეჯერები და ა.შ.)

გიორგი ბერელაშვილი

1985-1989 წ.წ. გორის კრივის ფედერაციის პირველი პრეზიდენტი.



დავით ლეონიძე


1989-1991 წ.წ. გორის კრივის ფედერაციის პრეზიდენტი.

გურაბ კაჭკაჭიშვილი

1991-2000 წ.წ. გორის კრივის ფედერაციის პრეზიდენტი.

1965 წლიდან გ. კაჭკაჭიშვილი ჭაპანს ეწეოდა სხვადასხვა პარტიულ თუ სამეურნეო მაღალ თანამდებობაზე. აქტიური მოღვაწეობით არც კრივს აკლებდა ყურადღებას ფედერაციის პრეზიდენტის რანგში.

გ. კაჭკაჭიშვილს მიუძღვის მნიშვნელოვანი წვლილი გორული კრივის მომრავლებულ და ღირსეულ გამარჯვებებში.



აკადემიუმი შოშიაშვილი

XXI საუკუნის დასაწყისიდან დღემდე გორის კრივის ასოციაცია „შატო“-ს პრეზიდენტი.



დავით წერიალაშვილი

კრივის ასოციაცია „შატოს“ საპატიო პრეზიდენტი.


გიორგი კურიჭამიაშვილი

სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს დირექტორი (მარცხნივ).



კონსტანტინე ხუბულური

სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის საგენტოს დირექტორის მაოდგილე.



ბორის გოგიჩაშვილი

შიდა ქართლის ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი.

ანზორ თენაძე

გ. პაპიგაშვილის სახელობის ჭიდაობის (ძიუდო) კომპლექსური სკოლის მენეჯერი.





ბესიკ გიორგაშვილი

შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ცენტრალური სპორტული სკოლის მენეჯერი.

ნუგბარ სხიერელი

მისივე სახელობის ჭიდაობის სკოლის მენეჯერი.



გია კობახიძე

გიორგი კანდელაკის სახელობის ვარიანტის კრიზის სკოლის მენეჯერი.

გიორგი გორდაძე

ქ. გორის ექსტრემალური სპორტის განყოფილების უფროსი.



ჯემალ მჭედლიშვილი

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში სპორტული მიმართულების კურატორი.

ვახტანგ ყანჩაველი

ქართული ტექნიკური ინტელიგენციის უბრწყინვალესი წარმომადგენელი. სააღმშენებლო ინდუსტრიის მუდამ ეპიცენტრში მყოფი, სრული და პირადპირი გაგებით. საქართველოს პროფესიონალური კრივის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი და ამ ფედერაციის ევროპის შესაბამის სტრუქტურაში ინტეგრაციის ინიციატორი და აღმსრულებელი. დღესაც სათავეში უდგას მე-3 საამეშენებლო ტრენერს და განაგრძობს ტრადიციულ ეროვნულ საქმიანობას.



ალექსანდრე იაშვილი



მიზანი, რომელსაც ათეულობით წელია ემ-სახურება გორის უნივერსიტეტის პროფესორი ალექსანდრე იაშვილი, გახლავთ: სპორტული მეცნიერებისა და პრაქტიკის ყოველმხრივი შერწყმა, ფიზიოლოგისა და ბიომექანიკის კანონების დანერგვა, დასვენება-რეაბილიტაციის მეცნიერულ-ტექნიკური უბრუნველყოფა, წვრთნისა და შეჯიბრების პროცესების მეცნიერული მართვა და ა.შ.,

ა. იაშვილი დაჯილდოებულია მრავალი ჯილდოთი და სიგელით. იგი არის ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე.

ვასილ ბალახაძე

ცნობილი ქურნალისტი-პუბლიცისტი; სპორტული საქმიანობის აქტიური პროპაგანდისტი. სპორტული ხასიათის უამრავი საგამოთო სტატიისა და რამდენიმე წიგნის ავტორი. სპორტული ცხოვრების ღირსეული მემატიანე.



პამლეგ მაყაშვილი

დიდი ხნის განმავლობაში საცურაო კომპლექსის უფროსი მწვრთნელი და ხელმძღვანელი. ურთულესი სპორტული პერიპეტიების ბრწყინვალე თრგანიზატორი და აქტიური მმართველი.

ა
მ
გ
მ
ხ
ე
ბ
ე
რ
ე
დ
ი



იგონებს ელგუჯა ბერჟაშვილი:

ჩემი ვაჟი დურმიშხან (დურო) უმცროსი 1997 წელს ასპარეზობდა ევროპის ჩემპიონატში ახალგაზრდებს შორის. დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ მან აღისრულა ოცნება და მოიპოვა ჩემპიონის ოქროს მედალი.

ყველაზე საინტერესო და გულისამაჩუყებელი მომენტი კი ის გახლდათ, რომ გამარჯვებულის ოქროს მედალი ჩამოჰკიდა წარსულში სახელგანთქმულ-მა მოჭიდავემ ანგონ გებინგმა, რომელიც კარგად იცნობდა და რომელსაც ნაჭიდავები ჰქონდა დურო (უმცროსის) პაპასთან, ანუ ევროპის ჩემპიონთან, დურმიშხან (დურო) უფროს ბერიაშვილთან.

აშკარად შეიმჩნეოდა რომ გებინგი მედალს გადასცემდა განსაკუთრებული სითბოთი და აღტაცებული განწყობით.

იგონებს გივი გაუტაშვილი:

(ყოფილი საბჭოთა კავშირისა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი,
ლირსების ორდენის კავალერი. მასალა მოგვაწოდა ვასილ ბალახაძემ

„...არ დამავიწყდება მოლდოვაში გამართული საკავშირო ჩემპიონატი, სადაც ქვემდიმე წონაში ჩემპიონი ხუბულური გახდა, ხოლო მესამეზე გოგიჩაიშვილი გავიდა. ერთ წონით კატეგორიაში ერთი ქალაქიდან კი არა, მაშინ ერთი რესპუბლიკიდან ჭირდა მედლების მოპოვება. სხვათაშორის, როცა მსაჯების არაობიერტურობის გამო გამოვთქვამდით პროგესტს – რუსებს ხშირად დაუფარავად უთქვამთ – საქართველოში იმდენი მოჭიდავე არ არის, რამდენიც ჩვენთან მწვრთნალიათ და ნუ გვეჩხუბებით, ერთი ჩემპიონი მაინც გვარგუნეთ, ყველა ოქროს მედალი თქვენ როგორ გინდათო...“

იგონებს ნოდარ ექვთიმიშვილი

ქართველი ძიუდოისტები ვემზადებოდით იაპონიაში საასპარეზოდ გასამგბავრებლად. საქართველოში ძიუდოს სახეობის დაფუძნების ერთ-ერთმა ინიციატორმა და ორგაქნიბაფორმა, ბაფონმა ბიძინა მაზიაშვილმა თუშერი გუდის ყველი და კახური შოთები გამატანა თავის ახლო ნაცნობთან, იაპონიის ყველა დროის უძლიერეს ძიუდოისტან იმაკუმასთან.

შეჯიბრებიდან უკან დაბრუნებულებმა სასტუმროს ნომრის წინ შევამჩნიეთ უნიფორმიანი ადამიანების ჩოჩქოლი. გაგვაოცა იმ ამბავმა, რომ სამართალ-დამცავები აირწყინალებით იყვნენ აღჭურვილნი. ჩვენი ნომრის კარები ღია იყო და იქიდან გამოდიოდა გუდის ყველის დამახასიათებელი სუნი, რაც საკა-

ოდ საეჭვოდ და საფრთხილოდ ეძვენებოდათ იაპონელებს.

შემიყვანეს ნომერში, გამახსნევინეს ჩანთა, ამოიღეს ყველი და დიდი სერი-ობულობით წაიღეს საანალიზოდ (შესასწავლად).

ყველი მალე დამიბრუნეს და თარჯიმანმა ყველაფერი დაწვრილებით აუხსნა იმაკუმას, რომელიც საკმაოდ გახალისდა და გამხიარულდა.

აუგიდან ამოხტა

იდგა გვიანი შემოდგომა.

ბორჯომში შეჯიბრის დაწყების წინა დღეებს ინტენსიურად ვვარჯიშობდით. ერთ დღეს შევამჩნიე, რომ წყალი აუგიდი არ იყო შემთბარი 27-28 გრადუსამდე, უფრო მეტიც – ცივი იყო, რაც თითქმის შეუძლებელს ხდიდა ნორმალური ვარჯიშის ჩატარებას.

ბაგერფლას ყაიდით მოცურავე თორნიკე ნასყიდაშვილმა კბილების კაწკაწით ძლივს მიაღწია 50-მეტრიან ბლუდეს, ძლიერ დაჰკრა თრივე ხელი, ყუმბარასავით ამოვარდა წყლიდან და ცახცახით გაქანდა გასახდელებისაკენ.

უფ. მწვრთნელი პ. მაყაშვილი

ნაწყენი გვანცა

ერთხელ, საცურაო აუგიდან სახლში დაბრუნებულ გვანცას შევამჩნიე, რომ რაღაც ვერ იყო ხასიათზე, უფრო მეტიც, ნაწყენი და გაბრაბებული ჩანდა.

დავინგერესდი და ფრთხილად შევეკითხე – რა მოხდა შვილო, რატომ ხარ ცუდ ხასიათზე?!

რომ იტყვიან, „არც აცია, არც აცხელა“ და მოჭრით მომაძახა: აღარ წავალ ვარჯიშზეო.

არ მოვეშვი.

– რატომ, შვილო, რამ, ან ვინ გაგაბრაბა?!?

თვალებში ცრემლმოწოლილმა შემომჩივლა:

– დავალება კარგად ვერ შევასრულე და მწვრთნელმა „შლოპანცები“ (ფლოსტები, ტყაპუნები) შემომილაწუნაო.

მალე ყველაფერი მოგვარდა. შერიგება შედგა და გვანცამ განაგრძო ინტენსიური წვრთნა.

**ქალბ. ქეთევანი,
გვანცა ხინჩეგაშვილის დედა**

პლოვდივში

1987 წელს ბულგარეთის ქ. პლოვდივში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში ქალთა შორის.

ყოფილი საბჭოთა კავშირიდან მიწვეულები ვიყავით ირინა ლევიზინა და მე. ბუნებრივია, სასტუმროში ერთ ნომერში ვცხოვრობდით.

იმ დროისთვის ლევიზინა უფრო პოპულარული მოჭადრაკე გახლდათ და იმავდროულად მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტიც გახლდათ.

ტურნირის მსვლელობისას შევამჩნიე, რომ ლევიზინა უკვე გამარჯვებულად გრძებდა თავს და ეს ეტყობოდა მის ყველა ნაბიჯს თუ გამონათქვამს. თავი ისე ეჭირა, როგორც უკვე გამარჯვებულს და მე მასწავლიდა რაღაც-რაღაც-ცემს ხაზგასმული კილოთი და მანერებით.

— აი, მე ვიმარჯვებ და შენც მინდა კარგად გამოხვიდე, თავი გამოიჩინო. მარიგებდა და მასწავლიდა. ამასთან, როგორც ჩემ გამოცდილი, ძალიან კარგად იცნობდა ყველა მოთამაშის სტილს და მიყვებოდა თითოეულის სუსტ მხარეებზე... მოკლედ, ფანტაზიურ წარმოდგენაში უკვე გამარჯვებული იჩენდა კეთილ ნებას და მარიგებდა და მასწავლიდა, თუ ვისთან როგორ მეთამაშა.

მოხდა ისე, რომ გადამწყვეტ პარტაში შევხვდით ერთმანეთს. მალე მოვუგე პაიკი და მივიღე მოსაგები პოზიციაც.

„ვინამუსე“ და შევთავაზე ყაიმი (მყოფნიდა გამარჯვებისთვის), რომელიც მან მიიღო. გავიმარჯვე და შევასრულე კიდეც საერთაშორისო ოსტატობის მოსანიჭებული ქულათა რაოდენობა.

ირინა ლევიზინა კი მეორე ადგილზე გავიდა.

ციალა ქასოშვილი, საერთაშორისო ოსტატი

დროებით გაქრა მედალი

1997 წელს გიორგი კანდელაკი გახდა მსოფლიოს ჩემპიონი კრვში. იგი ბრუნდებოდა მშობლიურ ქალაქ გორში. უამრავი ადამიანი შეიკრიბა, რათა ღირსეული შეხვედრა მოეწყოთ პირველი ქართველი მსოფლიო ჩემპიონისთვის მძიმე წონით კატეგორიაში. ენით აუწერელ საბეიმო განწყობას მოეცვა ირგვლივ ყველაფერი. მთელი შიდა ქართლი ამაყობდა გიორგი კანდელაკით; ყველას სურდა მისთვის ხელის ჩამორთმევა, გულში ჩაკვრა, ქების სიტყვებით შემკობა. იყო ერთი გაშის გრიალი, ოვაციები, ხმამაღალი მიღოცვები და სხვა.

ვიღაცამ დაიძახა — ოქროს მედალი გვაჩვენოსთ. გიორგის ჯერ ღიმილი შეამრა სახეზე, მერე მზერა გაეფანტა და ჯიბეების ჩხრეკვა დაიწყო, თან თავის თანმხელებ პირებს უცქერდა, თითქოს ემუდარებოდა — სადაა მედალი, მომჟერ, ვაჩვენო თაყვანისმცემლებსთ. მაგრამ მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა. მედალი ვერ იპოვეს.

მოგვიანებით გაირკვა, რომ ჩემპიონს ოქროს მედალი ჩაუდია მეგობრის ჩანთაში და უცბათ ვერ გაიხსენა.

ალექსანდრე იაშვილი

უბილეთო ჩემპიონი

1972 წელს შოთა ჩოჩიშვილი, ოლიმპიურ თამაშებზე გამარჯვების შემდეგ, მაგარებლით ბრუნდებოდა გორში.

რაც უფრო უახლოვდებოდა მაგარებელი გორს, მით უფრო მეტს ნერვი-ულობდნენ შოთა, მისი მწვრთნელები და სხვა თანმხლები პირები. ისინი, სულ მაღე, როგორც გმირები, წარსდგებოდნენ გულშემატკივრების წინაშე, რომ-ლებიც უკვე ათასობით იყვნენ შეკრებილნი.

საშურიდან დაიძრნენ. დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ. ჩამოიარა მაგარებლის გამცილებელმა და შეამოწმა ბილეთები.

აღმოჩნდა, რომ შოთა ჩოჩიშვილს (აწ უკვე ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს) და გურამ პაპიგაშვილის (საყოველთაოდ ცნობილ მწვრთნელს) ბილეთები საერთოდ არ აღმოაჩნდათ.

შეიქმნა უხერხული ვითარება, თუმცა, კეთილი ნების წყალობით, ყველაფერი ნორმალურად დამთავრდა. გაახსენდათ, რომ ბილეთები სასტუმროს ნომერში, მაგიდაზე დარჩათ. დაუჯერეს და „აპატიეს“.

ალექსანდრე იაშვილი

იგონებს გაქარია მირუაშვილი: წვერგაპარსული მწვრთნელი

სკოლაში კარატეს სწავლების წლებში გაქარიას წვერი ჰქონდა მოშვებული და მის ამგვარ გარეგნულ იერს ერთგვარად მიჩვეულები იყვნენ როგორც პედაგოგები, ისე მოსწავლეებიც.

ერთ შვენიერ დღეს, გაქარიამ გადაწყვიფა დამშვიდობებოდა ფრადიციულ ატრიბუტს და გაიპარსა წვერი.

ვარჯიშის წინ, მოსწავლეების მოლოდინში, სპორტული დარბაზის წინ მიღიმოდიოდა მწვრთნელი. ბავშვები თანდათან იკრიბებოდნენ და აშკარად ეტყობოდათ, რომ ვიღაცის მოლოდინში არ შედიოდნენ დარბაზში.

რაღაც მომენტში მწვრთნელთან, გაქარია მირუაშვილთან მივიდა გია და მორიდებით ჰკითხა: თქვენ გაქარია მირუაშვილის ძმა ხომ არ ხართ, ძალიან ჰგავხართ.

ბავშვებმა ვეღარ იცნეს წვერგაპარსული მწვრთნელი.

ორი ნინო

მოხდა ისე, რომ ერთ-ერთი შეჯიბრის ფინალში ერთმანეთის პირისპირ დადგა ორი ნინო და ორივე საბიაშვილი.

მსაჯი აცხადებს – მარცხნივ ნინო საბიაშვილი, მარჯვნივ ... და შეჩერდა, ვერ გაეგო, რა ხდებოდა.

გაკვირვებული აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს.

ვიღაცამ დაბალი ხმით მიაძახა – ისიც ნინო საბიაშვილიაო. მსაჯი ან ვერ მიხვდა რაში იყო საქმე, ან არ დაიჯერა.

ხელებს იქნევდა და გაიძახოდა – მეორე ვინ არის, ვის უნდა შეხვდესო...

მოკლედ, გაიმარჯვა ნინო საბიაშვილმა.

ხრიკები

მწვრთნელი ასწავლის ალექსანდრეს, რომ თუ დაიღალე, შეგიძლია წაიქცე და ცოტა შეისვენო, ან წაიფორხილო და ისე წაიქცე და ა.შ.

შეხვედრა მიმდინარეობდა კოკოშინკას სტილით. ალექსანდრეს მოწინააღმდეგე იყო საქართველოს ნაკრების წევრი. იბრძოლეს 2 წუთი. დამთავრდა ფრედ. დაამატეს 2 წუთი (ბრძოლა თუ კვლავ ფრედ დამთავრდება, მაშინ გამარჯვება მიენიჭება ნაკლებწონიან სპორტსმენს).

მოწინააღმდეგემ დაარტყა ალექსანდრეს და ისიც, რაღაცნაირი მონდომებით წაიქცა და გააგრძელა წოლა – იფიქრა დავისვენებო. დრო გადიოდა, წაგება ახლოვდებოდა, როცა მწვრთნელმა შეუყვირა – ადექი დროზე, რას აკეთებო...

შენ არ მასწავლე, თუ დასვენება მოგინდეს, წაიქცეიო, – ნიშნისმოგებით მიაძახა მწვრთნელს.

ფოტოაპარატი

ალექსანდრე კარგ სპორტულ ფორმაში იყო და მომდევნო შერკინებაში ფავორიტად იყო მიჩნეული. მისმა ძმამ ფოტოაპარატი წაიღო თან, რომ გადაეღო გამარჯვების ისტორიული კადრები, მაგრამ...

მოწინააღმდეგეები მიესალმნენ ერთმანეთს და მერე გაშორდნენ (როგორც წესი) და მოიბიდნენ პირველი დარტყმებისათვის. ალექსანდრემ მოულოდნელად რაღაცნაირად წაიბორბიკა და წასაქცევად დაიხარა. მოწინააღმდეგემ (ისევე როგორც არბიტრებმა) ჩათვალა, რომ ალექსანდრემ რაღაც იღეთი წამოიწყო და ელვის სისწრაფით მიაყენა უძლიერესი დარტყმა. 2-3 წამში ბრძოლა დამთავრდა ისე, რომ არც კი დაწყებულა. ალექსანდრეს ძმამ ვერ მოასწრო ფოტოაპარატის ჩაჩხაკუნებაც კი.

გაქარია მირუაშვილი

ოქროს მედალოსნები

- | | | | |
|-----|-----------------------|-----|--------------------------|
| 1. | ავაზნელი დავითი | 31. | დავითაშვილი იასონი |
| 2. | ავაზნელი გაბა | 32. | დოლიაშვილი გიორგი |
| 3. | ავაზნელი ცებარი | 33. | ელბაქიძე ამირანი |
| 4. | ახალბედაშვილი იოსები | 34. | ელიობიშვილი გაური |
| 5. | ბაბანდარაშვილი ირაკლი | 35. | ერისთავი დიანა |
| 6. | ბაიდაური ვანო | 36. | ელბაქიძე ს. |
| 7. | ბალიაშვილი გიორგი | 37. | ექვთიმიშვილი ნოდარი |
| 8. | ბერუაშვილი დურო I | 38. | ვანიშვილი ბ. |
| 9. | ბერუაშვილი ელგუჯა I | 39. | ვანიშვილი თ. |
| 10. | ბერუაშვილი დურო II | 40. | ვანიშვილი რ. |
| 11. | ბერუაშვილი ელგუჯა II | 41. | ვაზაგაშვილი გიორგი |
| 12. | ბებნაძე რამაზი | 42. | გაბაძე ნიკოლოზი |
| 13. | ბერიძე დავითი | 43. | გომიროვი გაბა |
| 14. | ბერელაშვილი დავითი | 44. | თენაძე გიორგი (გია) |
| 15. | ბარიანიძე ლელა | 45. | თეგეტაშვილი ალექსანდრე |
| 16. | ბგიშვილი გ. | 46. | თოთლაძე გიორგი |
| 17. | ბუხრიკიძე ნინო | 47. | თევდორაშვილი გიორგი |
| 18. | ბუხრიკიძე გიორგი | 48. | თოთლაძე ლ. |
| 19. | ბიბილაშვილი ნიკოლოზი | 49. | თუშიშვილი ოთარი |
| 20. | გაბინაშვილი მიხეილი | 50. | ივანიშვილი სოსო (იოსები) |
| 21. | გეგელაშვილი გიორგი | 51. | ინდუაშვილი თამაზი |
| 22. | გიორგაშვილი გიორგი | 52. | კანდელაკი გიორგი |
| 23. | გოგიშვილი ვანო | 53. | კანდელაკი თარაში |
| 24. | გულუაშვილი ქეთევანი | 54. | კობახიძე მამუკა |
| 25. | გიგაური ანა | 55. | კობახიძე ლაშა |
| 26. | გიორგაშვილი გ. | 56. | კობახიძე გიორგი |
| 27. | გოგმელიძე გიორგი | 57. | კაჯილაშვილი გურამი |
| 28. | გოგიჩაიშვილი ბორისი | 58. | კრიხელი იოსები |
| 29. | გუსოშვილი ომარი | 59. | კურჭანიძე კობა |
| 30. | დავითაშვილი დავითი | 60. | კარბელაშვილი დავითი |

- | | | | |
|-----|------------------------|------|----------------------------|
| 61. | კევლიშვილი გიორგი | 93. | ფლაშაძე რაფი |
| 62. | ლობჟანიძე ბექა | 94. | ქრისტესიაშვილი რ. |
| 63. | ლოცულაშვილი ალექსანდრე | 95. | ქასოშვილი ციალა |
| 64. | მარტიაშვილი ხვიჩა | 96. | ქიბროწაშვილი ანზორი |
| 65. | მენაბდიშვილი ზურაბი | 97. | ყაზიშვილი ვასილ |
| 66. | მწარიაშვილი ილია | 98. | შოშიაშვილი შალვა |
| 67. | მაისურაძე ლაშა | 99. | შავდათუაშვილი ლაშა |
| 68. | მარწყვიშვილი ვახტანგი | 100. | ჩალაური ნიკა |
| 69. | მისირელი შ. | 101. | ჩიხლაძე შოთა |
| 70. | მიხანაშვილი ჭ. | 102. | ჩიხლაძე ჯიმშერი (ჯიმა) |
| 71. | მუკნიაშვილი ეკატერინე | 103. | ჩოჩიშვილი შოთა |
| 72. | მომცელიძე იოსები | 104. | ჩოჩიშვილი თენგიზი |
| 73. | მაყიშვილი გიგლა | 105. | ცაციაშვილი სერგო |
| 74. | მოდესიანი ვლადიმერი | 106. | ციქუბაძე ბადრი |
| 75. | მუზიაშვილი მალხაზი | 107. | წკრიალაშვილი გიორგი |
| 76. | მჭედლიშვილი ჯემალი | 108. | ხაბელაშვილი ვ. |
| 77. | მაღალთაძე როინი | 109. | ხინჩეგაშვილი გიორგი (გია) |
| 78. | მეტრეველი ნოდარი | 110. | ხინჩეგაშვილი ვლადიმერი |
| 79. | მექვაბიშვილი ელგუჯა | 111. | ხინჩეგაშვილი გვანცა |
| 80. | ნარიაშვილი მერაბი | 112. | ხმიადაშვილი ვასილი |
| 81. | ნონიკაშვილი ოთარი | 113. | ხაბელაშვილი გიორგი |
| 82. | პეტრიაშვილი გენო | 114. | ხიბანიშვილი ოთარი |
| 83. | პოლოსიანი დავითი | 115. | ხორბალაძე თ. |
| 84. | რაზმაძე გ. | 116. | ხოსრუაშვილი გიორგი |
| 85. | რაზმაძე ლ. | 117. | ხუბულური თემური |
| 86. | რევაზიშვილი გიორგი | 118. | ხანიშვილი აკაკი (უსურათოდ) |
| 87. | სეხნიაშვილი ნიკოლოზი | 119. | ჯავახიშვილი რომანი |
| 88. | სხირფლაძე გელა | 120. | ჯავახიშვილი დავითი |
| 89. | სადაღაშვილი გაბა | 121. | ჯიოშვილი ა. |
| 90. | საბიაშვილი ნინო | 122. | ტერაშვილი ვლ. |
| 91. | ფლაშაძე ილია | 123. | ყაზიშვილი ვ. |
| 92. | ფლაშაძე ვლადიმერი | 124. | ჯანაშვილი დ. |

აღნიშნულის გარდა საქართველოს ჩემპიონები არიან:

- | | |
|---------------------------|--------------------------------|
| 1. ალაძე გიორგი | 17. კაბულაშვილი ვალერი |
| 2. ბერიკაშვილი მამუკა | 18. კალატობიშვილი მიხეილი |
| 3. ბერკაცაშვილი მალხაზი | 19. კევლიშვილი გიორგი |
| 4. ბიბილაშვილი ალექსანდრე | 20. მარიამიძე ვასილი |
| 5. ბოსიკოვი ვასილი | 21. მებერიშვილი არჩილი |
| 6. ბოჭორიშვილი ზურაბი | 22. მექვაბიშვილი ელგუჯა (გუჯა) |
| 7. გაბარაევი მალხაზი | 23. მძინარიშვილი დავითი |
| 8. გაზაშვილი თამაზი | 24. ნაზარაშვილი ბადრი |
| 9. გოგებაშვილი მიხეილი | 25. ქარელიშვილი რევაზი |
| 10. გოგებაშვილი ვანო | 26. ყულუმბეგაშვილი ბადრი |
| 11. გოციევი ალექსანდრე | 27. შოშიაშვილი ზურაბი |
| 12. დემურიშვილი გიორგი | 28. ცაციაშვილი ვაჟა |
| 13. ელიობიშვილ იგიორგი | 29. ციკოლია ედვარდი |
| 14. ვარდუაშვილი პაატა | 30. წინამძღვრიშვილი ზურაბი |
| 15. გარხობაშვილი ზურაბი | 31. წინამძღვრიშვილი ვახტანგი |
| 16. იორამაშვილი ნუგბარი | |



ჩამონათვალი სპორტსმენებისა (არასრული სია), რომლებმაც უკვე შეძლეს და მოიპოვეს მსოფლიოში ჩატარებული სხვადასხვა რანგის მათ შორის საერთაშორისო სტატუსის სპორტული ტურნირების ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები, აღიარებულნი არიან პერსპექტიულ სპორტსმენებად და რომელთა უმრავლესობასაც (იმედი ვიქონით) წინ ელის ოქროს მედლის ბრწყინვალება და საჩემპიონო ტიტული.

სიაში არ არიან შეგანილნი ჩემპიონები, რომელთაც მრავლად აქვთ ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები.

- | | | | |
|-----|-----------------------------------------------|-----|---------------------|
| 1. | აბრამიშვილი ზურა | 29. | ქიბროწაშვილი დავითი |
| 2. | გალეგაშვილი დავითი | 30. | მოისეევი ანდრეი |
| 3. | ბერძნიშვილი დავითი | 31. | თითაროვი გიორგი |
| 4. | ბარამიძე ცოტნე | 32. | ვალიშვილი მირიანი |
| 5. | ყველაშვილი ჯაბა | 33. | რამაძე აკაკი |
| 6. | ხაბალაშვილი კოტე | 34. | კაზიაევი ზურაბი |
| 7. | მსხალაძე იოსები | 35. | საბიაშვილი არჩილი |
| 8. | ბესარიონ გოჩაშვილი
(იგივე ბესიკ გუჩაშვილი) | 36. | ვილიპენკო იგორი |
| 9. | თაბუაშვილი თემური | 37. | მინასიანი აშოგი |
| 10. | თაბუაშვილი თემური | 38. | ბეჟანიშვილი დ. |
| 11. | თაბუაშვილი ვალერი | 39. | კერესელიძე ბადრი |
| 12. | აკოფიანი რაფიკა | 40. | მაზმიშვილი გიორგი |
| 13. | ადამიანი რაფაელი | 41. | ჩახნიაშვილი თამაზი |
| 14. | ადამიანი ალბერტი | 42. | კაპანაძე ბექა |
| 15. | მდინარაძე ელგუჯა | 43. | რუბაშვილი ვლ. |
| 16. | ცხადაძე კუკური | 44. | ჩოჩიშვილი რამაზი |
| 17. | ჩაჩანიძე ავთანდილი | 45. | ვანიშვილი თ. |
| 18. | გალეგაშვილი ვლადიმერი | 46. | ვანიშვილი რ. |
| 19. | მეტრეველი გოჩა | 47. | თოთლაძე ლ. |
| 20. | ბერელაშვილი დავითი | 48. | მისირელი შ. |
| 21. | ახალკაცი თემური | 49. | მიხანაშვილი ჭ. |
| 22. | მეჩითოვი ომარი | 50. | რამაძე გ. |
| 23. | ლაფაჩი აკაკი | 51. | რამაძე ლ. |
| 24. | ლობჟანიძე ოთარი | 52. | ქრისტესიაშვილი რ. |
| 25. | დალაქიშვილი მიხეილი | 53. | ციქუბაძე ბ. |
| 26. | შავშიშვილი ნიკოლოზი | 54. | ხაბელაშვილი ვ. |
| 27. | ტეფნაძე გოჩა | 55. | ხორბალაძე თ. |
| 28. | შავშიშვილი გიორგი | 56. | ხანიშვილი ა. |
| | | 57. | ჯიოშვილი ა. |

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვახტანგ სიდამონიძე - „ქართულ ასპარეზობათა ქრონიკები“. გ-ბა „საბჭოთა საქართველო“. ქ. თბილისი, 1978 წ.
2. თენგიზ გაჩეჩილაძე - „ოლიმპიური შემოდგომის თექვსმეტი გაელვება“, გ-ბა „საბჭოთა საქართველო“, ქ. თბილისი, 1989 წ.
3. გ. აკოფოვი, შ. ახვლედიანი, „სპორტული საქართველო“ (ცნობარი), ქ. თბილისი, 1982 წ.
4. ი. დიმოვი - „საქართველოს ფალავნები“, გ-ბა „საბჭოთა საქართველო“. ქ. თბილისი, 1987 წ.
5. ი. აივაზიშვილი, გ. ალავერდაშვილი - „გორელები“ გ-ბა „მერანი“. 1999 წ.
6. ვ. შიუკაშვილი - „შიდა ქართლელთა კრივი“, „შემოქმედება“, ქ. გორი, 2006 წ.
7. ვ. შაქარაშვილი - „აროდეს დაილევიან ლომთა გორაბე ლომები...“ ქ. გორი, 2017წ.
8. ვ. ბალახაძე - „ვლადიმერ ხინჩეგაშვილი“ ციკლიდან „ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები“, თბილისი, 2016-17 წ.წ.

სარჩევი

1. შესავალი	3
2. კრიზი	7
3. ჭიდაობა	31
4. კარატე	49
5. ჭაღრაკი	61
6. ტანგარჯიში, აკრობატიკა	67
7. ცურვა	71
8. მძლეოსნობა	75
9. ჩემპიონთა მწვრთნელები	79
10. განუზომელია მათი დამსახურება (მმართველები)	95
11. მოგონებები	103
12. სამივე სინჯის მედლების მფლობელთა სიები	109

